საჯარო ბიბლიოთეკა თბილისი
ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიდება დიად ოქტომბერს!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო
КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი № 258 (11262) | ხუთშაბათი, 6 ნოემბერი, 1958 წ. | ფასი 20 კაპ.

გაუმარჯოს უძლეველ საბჭოთა ხალხს, კომუნიზმის მშენებელ ჩვენს გმირულ, შემოქმედ ხალხს!

**გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — საბჭოთა ხალხის დიად შთამაგონებელ და ხელმძღვანელ ძალას!**

## დიადი ოქტომბერი

სმოლნის კოლონადასთან მჭიდროდ, მხარდამხარ დგას წითელგვარდიელი მწკრივი. გაცვეთილ ქურთუკებზე შემოჭერილი ტყვიამფრქვევის ლენტები... გათოშილ ხელებს მაგრად უბღუჯავთ იარაღი. თავები მაღლა ამაყად არის აწეული, ხოლო თვალებში გამარჯვების სიხარული, ყველა ქარიშხლისა და გრიგალის გაბედული გამოწვევაა...

ნაცნობი სურათია!.

ამ სურათს გადავყავართ 1917 წლის ოქტომბრის დიად დღეებში. კრეისერ „ავრორას" ზალპს მოჰყვა ამავე კრეისერის რადიოსადგურიდან გადაცემული უკვდავი ლენინის უკვდავი სიტყვები:

**„დროებითი მთავრობა დამხობილია...**

**ის საქმე, რომლისთვისაც იბრძოდა ხალხი: დემოკრატიული ზავის წინადადების დაუყოვნებლივ წამოყენება, მიწის მემამულური საკუთრების გაუქმება, მუშათა კონტროლი წარმოების მიმართ, საბჭოთა მთავრობის შექმნა, — ეს საქმე უზრუნველყოფილია.**

**გაუმარჯოს მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა რევოლუციას!"**

არასოდეს არ ჩაქრება შემოდგომის იმ დღეთა დიდება... ორმოცდაერთი წელია დგას ეს ნათელი შემოდგომა, კაცობრიობის გაზაფხულად გადაქცეული.

იმ დროიდან, ოქტომბრის პირველი წლებიდან მოკიდებული, რევოლუციის თავმდაბალი, რიგითი ჯარისკაცი ჩვენი დროის ნამდვილი გმირი გახდა. მის მკერდზე დაიმსხვრა კონტრრევოლუციისა და კაპიტალისტური ინტერვენციის მღვრიე ტალღები. მისმა შრომისმოყვარე, გამრჯე ხელებმა ნანგრევებიდან აამაღლა ჩვენი სამშობლო და გამოჭედა საბჭოების ქვეყნის ინდუსტრიული ძლიერება. ოქტომბრის მებრძოლთა ცეცხლი ენთო ცარიცინის მამაც დამცველთა თუ სტალინგრადის უკვდავ გმირთა, ლენინგრადის ბლოკადის დღეების, ბერლინის იერიშის მონაწილეთა, ვარშავის, ბუდაპეშტისა და პრაღის სახელოვან განმათავისუფლებელთა გულში.

ოქტომბრის რევოლუციის უჩქნობი საქმეები როდი დამთავრებულა. რევოლუცია კვლავ გრძელდება. იგი გრძელდება დღეს საბჭოთა მეცნიერის ლაბორატორიაში, სადაც წყდება კოსმოსში გაჭრენის და ატომის დამორჩილების საკაცობრიო პრობლემები. ამ რევოლუციის უხილავი ბარიკადები გადის ყამირ მიწებზე — პურის ფრონტზე, დაზგასთან, სადაც რაციონალიზატორი ახალ გამოგონებას ცდის, გადის სტალინგრადისა თუ კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურების გიგანტურ კაშხალებთან, ყაზახეთის მაგნიტკასთან, დონბასის შახტებთან და შავი ზღვის პირის ზურმუხტოვან პლანტაციებთან...

ოქტომბრის გმირებმა რევოლუციის დროშა აღმართეს ერთ ქვეყანაში. მაგრამ მათ იცოდნენ, რომ ამით ასრულებდნენ თავიანთ ინტერნაციონალურ მოვალეობას. თავიანთ ვალს მსოფლიოს ყველა მშრომელისა და ჩაგრულის წინაშე. ახლა სოციალიზმი მსოფლიო სისტემად გადაიქცა. დიდი ხანია გავიდა ის დრო, როცა საბჭოთა კავშირი იყო ერთადერთი კუნძული კაპიტალიზმის ზღვაში. არასოდეს ოქტომბრის დროშა დედამიწის თავზე არ ფრიალებდა ისე მაღლა, როგორც დღეს. ეს დროშა ამაყად ფრიალებს ელბიდან წყნარ ოკეანემდე. ჩვენს მხარდამხარ სოციალიზმის ხარაჩოებზე დგანან დიდი ჩინეთის, ევროპისა და აზიის სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელები.

ჩვენი მრავალეროვანი სამშობლო — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი ახალი გრანდიოზული წარმატებებით ეგებება დიად ოქტომბერს. საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში. ოქტომბრის მზის ქვეშ ჰყვავის და იფურჩქნება საბჭოთა საქართველოც, რომელსაც თავისი აგური მიაქვს კომუნიზმის დიდებული შენობის ასაგებად. რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში შემოქმედებითი შრომის დიდი პათოსია. სკკპ XXI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავად მშვიდობიანი შრომის საპატიო ვახტზე დგანან კუნთმაგარი ადამიანები და ქვეყანას უპატაკებენ: მიიღე ჩვენი წვლილი, საყვარელო დედა-სამშობლოვ!

დიდია ჩვენი ქვეყანა. ბედნიერია მისი აწმყო და კიდევ უკეთესი და ბრწყინვალე — მისი მომავალი. და როგორ არ ვუმღეროთ სამშობლოს დღევანდელ დღეს, მის ხვალინდელ მშვენიერებას ვლადიმერ მაიაკოვსკის სიტყვებით:

**ვაქებ სამშობლოს,**
**რომელიც დღეს**
**ჩემს თვალწინ არი,**
**მაგრამ სამწილად — მას ვუმღერი,**
**რაც ხვალ იქნება.**

ოქტომბერი და შრომა, ოქტომბერი და მშვიდობა განუყოფელია. საბჭოთა ხალხი თავგამოდებით იბრძვის მთელ მსოფლიოში მტკიცე მშვიდობისათვის. ჩვენ მშვიდობა გვინდა და განა ათიათასჯერ უფრო სახალისო არ არის სიცოცხლე მისცე ვაზს თუ ჩაის ბუჩქს, ვიდრე ააფეთქო ყუმბარა!..

ცხრაას ჩვიდმეტის ნათელი ოქტომბრიდან მოყოლებული საბჭოთა ხალხს დევგმირივით მიუძღვის წინ ლენინური პარტია — მეომარი, პარტია — მშენებელი, პარტია — ხუროთმოძღვარი, რომელსაც ვუმადლით ყველა ჩვენს გამარჯვებას, ყველა ჩვენს სიკეთეს და სიხარულს. საბჭოთა ადამიანი ამიტომაც გამოთქვამს ლენინის მიერ შექმნილი კომუნისტური პარტიისადმი — ჩვენი ეპოქის სინდისისა და გონებისადმი — მადლიერების დიდ გრძნობას. პარტიის იდეები, ლენინის იდეები, ოქტომბრის იდეები ცოცხლობენ და იმარჯვებენ მთელ მსოფლიოში.

## მოსკოვს დაბრუნდა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაცია

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციამ, რომელსაც მეთაურობს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, დელეგაციის თავმჯდომარე ვლადისლავ გომულკა, დაამთავრა საბჭოთა კავშირში მოგზაურობა. 5 ნოემბერს დილით სტუმრები ლენინგრადიდან, სადაც წინადღით გაიმართა მრავალათასიანი მიტინგი მოსკოვს დაბრუნდნენ.

ამავე დროს ლენინგრადიდან მოსკოვს დაბრუნდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვ. ი. კოზლოვი და სხვები.

დედაქალაქის ლენინგრადის ვაგზალში ჩამოსულთ შეხვდნენ ამხანაგები ა. ი. კირიჩენკო, ფ. რ. კოზლოვი, ა. ი. მიქოიანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ქ. მ. ოზოლინი და სხვები.

5 ნოემბერს კრემლში პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაცია, რომელიც სსრ კავშირში მოგზაურობიდან დაბრუნდა, შეხვდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და სსრ კავშირის მთავრობის ხელმძღვანელებს.

საბჭოთა კავშირის მხრივ შეხვედრაში მონაწილეობდნენ ამხანაგები კ. ე. ვოროშილოვი, ა. ი. კირიჩენკო, ფ. რ. კოზლოვი, ა. ი. მიქოიანი, მ. ა. სუსლოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი.

## საოქტომბრო საჩუქრები დედა-სამშობლოს

### სასახელო შრომის 25 წელი

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივი საწარმოო გამარჯვებებით ხვდება დიდი ოქტომბრის 41-ე წლისთავს. 25 წლის მანძილზე ზესტაფონელმა მეტალურგებმა აითვისეს და გამოუშვეს 22 სახის შენადნობი, დიდად გაზარდეს მოქმედი აგრეგატების წარმადობა. ახლა № 1 საამქროს ელექტროღუმელებში ორჯერ მეტ ლითონს ადნობენ, ვიდრე პროექტით არის გათვალისწინებული.

ზესტაფონელი მეტალურგები, რომლებმაც პროდუქციის გამოშვების ათი თვის გეგმა ვადაზე 15 დღით ადრე გაანაღდეს, ახლა იმისათვის იბრძვიან, რომ გეგმის გადამეტებით სამშობლოს დიდი რაოდენობით მისცენ მაღალხარისხოვანი შენადნობები.

### ბათუმის ნავსადგურში

დღედაღამ ბათუმის ნავსადგურში რეიდზე დგანან გემები. მტვირთავები, მექანიკოსები სწრაფად ამუშავებენ ხომალდებს, შეუფერხებლად გზავნიან მათ დანიშნული მიმართულებით.

ნავსადგურის კოლექტივი, რომელიც ხერსონელ, ტუაფსელ და სოხუმელ თანამოსაქმეებს ეჯიბრება, სასახელოდ ასრულებს პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებებს. აქ 11 თვის გეგმა ჯერ კიდევ ოქტომბრის პირველი რიცხვებისათვის გაანაღდეს.

დიდი ოქტომბრის დღესასწაულის წინ თითქმის ყველა გემი ჩქაროსნული წესით დამუშავებული გადის ბათუმის ნავსადგურიდან.

### 138 ათასი მეტრი შალეული

ოქტომბრის დღესასწაულის წინ თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის კოლექტივმა მიიღო მეორე პრემია საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა შორის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში მესამე კვარტალში მიღწეული შედეგებისათვის.

ფეიქრებმა ნაყოფიერად იმუშავეს ოქტომბერშიც. პროდუქციის გამოშვების 10 თვის გეგმა 113,8 პროცენტით შეასრულეს. გეგმის გადამეტებით მომხმარებელს მიაწოდეს 138 ათასი მეტრი შალის ქსოვილი. ეს არის მაუდკამვოლის კომბინატის კოლექტივის სადღესასწაულო საწარმოო საჩუქარი სამშობლოსადმი.

ნაკისრ ვალდებულებათა პირნათლად განაღდებაში თავი გამოიჩინეს მქსოველმა ე. ზაქაიძემ, მრთველმა ლ. კამბაროვამ, მეფთილემ ლ. ძაგანიშვილმა, რომლებიც ახლა მომავალი სამეურნეო წლის ანგარიშში მუშაობენ.

### ჩაი გეგმის გადამეტებით

ტრესტ „საქართველოს ჩაის" კოლექტივმა შესანიშნავი საწარმოო გამარჯვება მოიპოვა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 41-ე წლისთავის აღსანიშნავად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში — 4 ნოემბრისათვის შეასრულა ნედლეულისა და ჩაის წარმოების წლიური გეგმა.

ჩაის ძირითადი ფოთლის დამზადების გეგმა შესრულებულია 106,3 პროცენტით, ხოლო ბაიხის ჩაის გამომუშავებისა — 105,5 პროცენტით. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია დაახლოებით 2 ათასი ტონა უმაღლესი და პირველი ხარისხის ბაიხის ჩაი.

### გადაზიდეს 300 ათასი ტონა ტვირთი

ხაშურის სადგურის კოლექტივმა წარმატებით გაანაღდა საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი. მესამე კვარტალის დავალება 174 პროცენტით არის შესრულებული. გატარებულია 852 მძიმეწონიანი მატარებელი. გეგმის გადამეტებით გადაზიდულია 300 ათასამდე ტონა სახალხო - სამეურნეო ტვირთი. წარმატებებისათვის სადგურის კოლექტივს მიკუთვნებული აქვს ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ადგილი. მასვე მიეკუთვნა ფულადი პრემია.



ვ. ი. ლენინი

პ. ვასილიევის ნახატი

## საერთაშორისო ლენინური პრემია გადაეცა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალურ მდივანს ლუი საიანს

4 ნოემბერს კრემლში „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" საერთაშორისო ლენინური პრემია გადაეცა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალურ მდივანს ლუი საიანს.

სვერდლოვის დარბაზში გადაცემის ზეიმზე შეიკრიბნენ მოსკოვის მუშათა და მოსამსახურეთა წარმომადგენლები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, პროფკავშირული მოძრაობის მოღვაწეები, უცხოელი სტუმრები.

საერთაშორისო ლენინური პრემიების კომიტეტის თავმჯდომარემ აკადემიკოსმა დ. ვ. სკობელცინმა, გახსნა რა კრება, გულითადად მიულოცა ამხანაგ ლუი საიანს საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატის მაღალი წოდების მინიჭება.

გულთბილად მიულოცა ლაურეატს მაღალი ჯილდო საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარემ ვ. ვ. გრიშინმა. მან აღნიშნა ლუი საიანის დიდი დამსახურება მსოფლიო პროფკავშირული მოძრაობის რიგების შეკავშირებაში მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და პროგრესისათვის საბრძოლველად.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის მდივანმა ლასარო პენიამ თავის სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ მარტო პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციაში გაერთიანებული 92 მილიონი მშრომელი როდი ამაყობს იმ მაღალი პატივით, რომელიც ლუი საიანს ხვდა. ამ გრძნობებს იზიარებენ ყველა კონტინენტის მშრომელები.

საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატს გულთბილად მიულოცეს ორთქლმავლის უფროსმა მემანქანემ, საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა ვ. გ. ბლაჟენოვამ, საბჭოთა ქალების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ო. ა. ხვალებნოვამ, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მდივანმა პროფესორმა ვ. მ. ჩხიკვაძემ და სხვებმა.

დასასრულ საზეიმო კრებაზე გამოვიდა ლუი საიანი, რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ. (საკდესი).



მოსკოვი. კრემლი.

ფოტო ა. ხტუენისა და ე. კასინისა.



ახალი თბილისი. ჩელიუსკინელების ქუჩა.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

# დიდი ოქტომბრის თანამოსახელე

ჩვენი დიდი და ძლევამოსილი ქვეყნის ყოველი ქალაქი თუ სოფელი, ყოველი სახლი, მზის შუქითა და სითბოთი სავსე, ერთნაირ ზღვარდაუდებელ სიხარულს განიცდის ხოლმე ამ დღეებში, ღრმა შემოდგომის ოქროვან დღეებში, და ადამიანი ზეიმობს ამ მზის შუქისა და თავისუფლების დიად დღესასწაულს... ამ დღესასწაულზე თბილისიც ამბობს თავის ახალ სიტყვას, ახალი შემოქმედებითი ზარაქითა და დოვლათით ხვდება ყოველთვის ამ დღეებს. მისი უბნები კი ცალცალკე ეჯიბრებიან ერთმანეთს... მაინც რა სწრაფად იცვლება დღეს ყოველივე! ბევრს, ძალიან ბევრს ჯერ ისევ ახსოვს ძველი კუკია, მახათას მთის შიშველი მიდამოები და ოღროჩოღრო ჩუღურეთი, მტკვრის ჩამომზღვეული სანაპიროები და მტკვარში ჩასული „სართულებიანი ქოხმახები". მაგრამ ალბათ ხსოვნასაც უჭირს უკვე ყოველივე ამის აღდგენა. თბილისის ოდესღაც ეს ორი ძველი გარეუბანი დღეს დიდი ოქტომბრის საამაყო სახელს ატარებს.

სანამ ამ მზინათელ დღეს მოესწრებოდა, მართლაც ძნელი გზა განვლო ჩვენი დედაქალაქის ამ განუყოფელმა ნაწილმა. მას ბევრ სიმწარესთან ერთად ბევრი საამაყოც ახსოვს... კუკიელები და ჩუღურეთლები დიდხანს დადიოდნენ მეტეხის „ბეწვის ხიდით". მოწინავე ქართველებმა ითავეს ახალი ხიდის გადება მტკვარზე, მაგრამ ეს არ იყო მარტო ხიდი, ეს უფრო ახალი, სიცოცხლის მიმნიჭებელი ძარღვი იყო ამ რაიონისათვის, რომელიც საუკუნეების მანძილზე მოწყვეტილი იყო დედაქალაქის გულს. ეს როგორც დიდ თბილისთან უშუალო სიახლოვის პირველი დღე, ისე ახსოვს ამ რაიონს... მერე იყო და დღევანდელ კალინინის ქუჩაზე კარგახანს ცხოვრობდა ჩვენი სახელოვანი ილია ჭავჭავაძე. აქვე, ამ რაიონში, იბეჭდებოდა და გამოდიოდა მისი მებრძოლი „ივერია". ამ რაიონში ცხოვრობდნენ თბილისში ჩამოსული ლევ ტოლსტოი და მაქსიმ გორკი. ხოლო კლარა ცეტკინის ქუჩაზე ერთ-ერთ სახლს ასეთი წარწერა აქვს: „1905 წლის ნოემბრის ბოლოს ამ სახლში ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით ჩატარდა რსდმპ ამიერკავკასიის საბჭოს კონფერენცია, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება შეიარაღებული აჯანყების მოწყობის შესახებ".

სულ რამდენიმე ათეულ წელიწადში გაიარა თბილისის ოქტომბრის რაიონმა „საუკუნეების მანძილზე გასავლელი გზა", დიდი ოქტომბრის შუქით მოფენილი.

ოქტომბრის რაიონი ამჟამად თბილისის ერთი ყველაზე დიდი რაიონია თავისი მოსახლეობით. ამ რაიონის საწარმო-დაწესებულებანი 228 მილიონი მანეთისაზე მეტ პროდუქციას უშვებს ყოველწლიურად.

ოქტომბრის რაიონში მუშაობს თბილისის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტების დიდი ნაწილი, ხელსაწყოთა მშენებლობისა და ავტომატიზაციის, ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის, ქიმიისა და გამოყენებითი ქიმიის — სულ 11 სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტი. ყოველივე ეს ნათლად ადასტურებს იმას, რომ დიდი ოქტომბრის მზით მოპოვებულმა ახალმა ცხოვრებამ მარტო სახლის ფასადები და ვიწრო ქუჩები კი არ შეცვალა ამ რაიონში, არამედ ჭეშმარიტად ახალი სული შთაბერა მას — იქ, სადაც ძველად სამჭედლოები და სანახშირეები ხრჩოლავდნენ, დღეს სამეცნიერო დაწესებულებები და ლაბორატორიები დგას, ქართველი მეცნიერები სწავლობენ საქართველოს აურაცხელ ბუნებრივ სიმდიდრეს და მისი მიზანშეწონილი ათვისების გზებს, ახალი ტექნოლოგიის საფუძველზე წარმოებაში ნერგავენ ძვირფასი სახალხო-სამეურნეო დანიშნულების მქონე კალიუმის პერმანგანატის მიღების ელექტროქიმიურ წესს.

ყველა ყველაა, მაგრამ ოქტომბრის რაიონის მშრომელებს მაინც რაღაც თავისებურად უნდათ შეხვდნენ დიად დღესასწაულს...

ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსაშენებლო ქარხნის მუშები ამ დღისთვის ყოველთვის ახალ ვალდებულებებს კისრულობენ. წელს დიდი ოქტომბრის ორმოცდამეერთე წლისთავის შესახვედრად ზეინკალი შ. ომიაძე, რომელიც უკვე 35 წელია ამ ქარხანაში მუშაობს, გეგმას ყოველთვიურად 50 პროცენტით ასრულებს, ზეინკალი ზ. აბრამიშვილი 240 პროცენტით, ხოლო ხარატი ვ. ამირგულოვი 250 პროცენტით. მათ იციან, რომ თავიანთი გამარჯვებებით შრომაში კიდევ ძლიერსა და ლამაზს ხდიან ცხოვრებას, და არაფერი ისე საამაყო არ არის კაცისთვის, როგორც თავისუფალი სამშობლოს ბედნიერებისათვის შრომა.

ოქტომბრის რაიონის პირველი სამკერვალო ფაბრიკა ზაპოროჟიესა და ქუთაისის სამკერვალო ფაბრიკებს ეჯიბრება და ახალი წარმატებებით ხვდება დიდი ოქტომბრის დღესასწაულს. ფაბრიკის კოლექტივმა პროდუქციის გამოშვების გეგმა 105,7 პროცენტით შეასრულა და სამშობლოს გეგმის გადამეტებით 518 ათასი მანეთის პროდუქცია მისცა. მაგრამ მარტო რაოდენობა როდია საქმე. სულ უფრო და უფრო იზრდება ჩვენი ადამიანების გემოვნება და ტანსაცმელიც ადამიანების „გემოვნების თარგის" მიხედვით იცვლება. ამიტომაც პირველმა სამკერვალო ფაბრიკამ მარტო წელს ბავშვების ტანსაცმლის სხვადასხვა სახის 29 ნიმუში დანერგა, ხოლო მამაკაცისა და ქალის პალტოების 18 ახალი ნიმუში. მარტო ის ფაქტიც კი, რომ ფაბრიკის 362 მუშას შესრულებული აქვს წლიური დავალება და 1959 წლის სამეურნეო ანგარიშში მუშაობს, ნათლად მეტყველებს, თუ რაოდენ გაუსწრეს დროს ჩვენმა ადამიანებმა.

ბევრს ახსოვს ილია ჭავჭავაძის ერთერთი მოთხრობიდან შიშველი მახათამთა, რომელზეც სახრჩობელა იყო აღმართული... ოქტომბრის რაიონის მშრომელებმა, როგორც ყოველივე ძველს, მთასაც ნირი უცვალეს, და სულ მალე 40.000 ძირი ნაძვი და ფიჭვი დაიწყებს შრიალს მის კალთებზე... და უფრო ამაყად იტყვის პოეტი მღერის ალვების მწყობრი კრებული სანაპიროზე სხედან მწვანეში...

**გ. გახტურიძე,**
**გ. გოგიაშვილი.**

---

## მეგობართა მილოცვები

**რიგა — თბილისი**

მხურვალედ ვულოცავთ ქალაქ თბილისის მშრომელებს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 41-ე წლისთავს და ვუსურვებთ მათ შემდგომ გამარჯვებებს ჩვენი დიადი სამშობლოს საკეთილდღეო შრომაში, აგრეთვე წარმატებებს ორი ქალაქის მშრომელთა სოციალისტურ შეჯიბრებაში.

პარტიის რიგის საქალაქო კომიტეტი,
რიგის საქალაქო საბჭოს აღმასკომი.

**ერევანი — თბილისი**

საბჭოთა ხალხი სიხარულით ხვდება ოქტომბრის დიდ დღესასწაულს. სამშობლოს სიყვარული, მისწრაფება — მისცენ ქვეყანას მეტი პროდუქცია აღაფრთოვანებს ჩვენს ადამიანებს თავდადებული შრომისათვის. აჯამებს რა მუშაობის შედეგებს, დღეს ერევნის ძერჟინსკის სახელობის მანქანათსაშენებლო ქარხნის კოლექტივი აღნიშნავს თავის წარმატებებს, რომლებიც მოპოვებულია თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებლო ქარხნის კოლექტივთან სოციალისტურ შეჯიბრებაში. მიმდინარე წლის მესამე კვარტალში ჩვენმა ქარხანამ საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 103 პროცენტით შეასრულა.

თბილისელ ჩარხმშენებლებთან შეჯიბრებას ჩვენთვის ახალი წარმატებები მოაქვს. ორივე ქარხნის კოლექტივის წარმომადგენლები ხშირად ვნახულობთ ერთმანეთს, ვუზიარებთ გამოცდილებას წარმოების სრულყოფის საქმეში. საყოველთაო-სახალხო დღესასწაულის დღეს ვუსურვებთ ძვირფას კიროველებს, ჩვენს თბილისელ მეგობრებს, ახალ შრომით გამარჯვებებს სკკპ XXI ყრილობის აღსანიშნავად.

დაე კიდევ უფრო განმტკიცდეს ჩვენი მეგობრობა!

**მ. მნაცაკანიანი,**
ერევნის ძერჟინსკის სახელობის ჩარხსაშენებლო ქარხნის დირექტორი.

---

საბჭოთა ხალხი სიხარულით აღნიშნავს დიდი ოქტომბრის სახელოვან 41-ე წლისთავს. ამ თარიღს ზეიმობს მთელი პროგრესული კაცობრიობა, ზეიმობენ თაობები, რომლებმაც თავიანთ მხრებზე გადაიტანეს რევოლუციური ქარტეხილების მთელი სიმძიმე, რომლებიც ოქტომბერთან ერთად იშვნენ, მისი მზის ქვეშ დავაჟკაცდნენ. დღევანდელი სიხარული, ბედნიერი ცხოვრებითა და კიდევ უფრო ნათელი პერსპექტივებით მოგვრილი ეს აღტაცება უნაპიროა ყოველი ასაკის საბჭოთა მოქალაქის გულში. მაგრამ გამარჯვების ფასი იმან მაინც უფრო იცის, ვისაც ზოგჯერ დამარცხების სიმწარეც უგემნია, ვინც უშუალოდ შესწირებია თავისი ახალი სამშობლოს დაბადებას, ვისაც თავისი გული და სისხლი არ დაუშურებია იმისათვის, რომ ადამიანებს ჰქონოდათ ისოდენ ნათელი დღე, ბედნიერი აწმყო, სანუკვარი მომავალი. ჩვენი დღევანდელობა კიდევ უფრო ტკბილია მათთვის, ვისაც თავის თავზე გამოუცდია წარსულის მთელი სილუხჭირე, თვითმპყრობელობის მათრახი, მენშევიკების გამცემლობა, ციხე და ბორკილი.

ამ ორმოცდაერთი წლის მანძილზე ჩვენი ქვეყნის მიერ განვლილმა სახელოვანმა

## ამ ნათელი დღეებისათვის

გზამ მთელ კაცობრიობას დაანახვა, თუ რა შეუძლია თავისუფალ ხალხს, ბორკილახსნილ შრომას, ერების ძმობასა და სიყვარულს.

ხალხის ბრძოლას ძველი სამყაროს დასამხობად, თავისი ბედნიერი მომავლისათვის წინ უძღოდა ტვინი და გული ხალხისა — კომუნისტური პარტია, რომლის აკვანთან იდგა ლენინი.

ეს — ლენინის პარტიამ წარმართა ხალხის ძალა მონობის უღლის, უუფლებობის ბორკილების დასამსხვრევად კაპიტალის შავი ძალების გასაცამტვერებლად.

ლენინის მიერ შექმნილი, ბრძოლებში ნაწრთობი პარტიის დროშა უძღოდა წინ პროლეტარიატს ექსპლოატატორულ წყობილებასთან თავის მძიმე და გმირულ შერკინებაში.

მარქსიზმ-ლენინიზმის იდეა, კომუნისტური პარტიის იდეა იყო ის ძლევამოსილი ძალა, რომელმაც ხალხს გაამარჯვებინა მეფის რუსეთზე. ეს იდეა გვიშუქებს ახლა გზას კომუნიზმისაკენ.

ყველაფერი, რითაც ახლა ჩვენ ვამაყობთ მიღწეულია პარტიის წინამძღოლობით, პარტიის უდიდეს გარდამქმნელ ძალას მიჰყავს ჩვენი ქვეყანა გამარჯვებების გზით ხალხის სანუკვარი კომუნიზმის დიადი შენობისაკენ.

დადიხარ დღეს ახალი თბილისის ქუჩებში, და გული გინათდება. გადახედავ ჩვენს ბარაქიან ველებსა და მინდვრებს, და კიდევ უფრო ივსები სიხარულით. ყოველივე ეს თავისუფალი მარჯვენის ნაყოფია. ეს თავისუფლება კი დიდმა ოქტომბერმა, კომუნისტურმა პარტიამ მოუტანა საქართველოს, ისევე, როგორც მთელს ჩვენს მრავალეროვან დიად სოციალისტურ სამშობლოს. მაინც სად იყო ამდენი სიხარული და აღტყინება! ლუკმაპურისათვის ადამიანი წელებზე ფეხს იდგამდა და ხვალინდელი დღის ლუკმაზე ფიქრში ალამებდა. მაგრამ მარტო „ლუკმაპური" როდი იყო საქმე! ძლევამოსილმა ოქტომბერმა ადამიანს თავისი მაღალი უფლებები მისცა, დამცირებული ღირსება აღუდგინა, მის შრომას საზღაური მიაგო, მის საქმეს რწმენა შემატა. დღეს ეს რწმენა და იმედი უკეთესი მერმისისა მარტო საბჭოთა ხალხების კუთვნილება როდია. ძლევამოსილი საბჭოთა ქვეყნის მხარდამხარ დგანან სახალხო დემოკრატიის ქვეყნები, ოქტომბრის მიერ ნაჩვენებ გზას ნუგეშით შეჰყურებენ მთელი მსოფლიოს დამონებული ხალხები. და როცა გამარჯვებული რევოლუციის დღესასწაულზე გამოტანილ დროშებს ვუყურებთ, გულში კიდევ უფრო დიდდება აღტაცება იმის გამო, რომ ყველაფერი ის, რაც ჩვენს ირგვლივ ხდება — სინამდვილეა, ხოლო ყველაფერი მძიმე და მწარე — მხოლოდ მოგონება, წმინდა და მარადსახსოვარი მოგონება. დიახ, ეს მოგონება მარადსახსოვარია, რადგან ბრძოლა თავისუფლებისათვის, ციხეც, კატორღაც, ბორკილიც, სიცივეც, შიმშილიც ადვილად ასატანი იყო ჩვენთვის. ჩვენ გვიადვილდებოდა ყოველივე ეს, რადგან წინ გვიძღოდა ბრძენი ლენინი, მისი პარტია, ხოლო იქ, სადაც იყო ლენინი ყოველთვის იყო გამარჯვება. ამ გამარჯვების რწმენით ძალამოსილნი ჩვენ ვუმკლავდებოდით ყოველგვარ გასაჭირს, ყოველგვარ დაბრკოლებას — ჩვენ ვიცოდით რისთვისაც ვიბრძოდით, გვწამდა ამ ბრძოლის დიადი შედეგიც!

**ვ. რუხაძე** — სკკპ წევრი 1905 წლიდან
**პროფ. ა. ბუაჩიძე** — სკკპ წევრი 1917 წლიდან
**ვ. ძნელაძე** — სკკპ წევრი 1908 წლიდან

---

## მეგობართა მილოცვები

**სტალინო — რუსთავი**

სტალინოს მეტალურგიული ქარხნის მრავალათასიანი კოლექტივის სახელით მხურვალედ ვულოცავთ რუსთავის მეტალურგებს საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 41-ე წლისთავს. უკრაინელ მეტალურგებს ქართველ მეტალურგებთან დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებთ, მათთან სოციალისტურ შეჯიბრებაში არიან ჩაბმული და მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევენ. ჩვენი ქარხნის კოლექტივმა მიმდინარე წლის ფოლადის გამოდნობის 9 თვის გეგმა ვადაზე ადრე შეასრულა, სამშობლოს მისცა ასობით ტონა ზეგეგმითი პროდუქცია. ახლა ქარხნის საამქროებში ფართოდ არის გაშლილი პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრება.

ქართველო მეგობრებო! გიძღვნით გულითად სალამს, გისურვებთ შემდგომ წარმატებებს შრომაში ჩვენი დიადი სამშობლოს საკეთილდღეოდ!

დაე კიდევ უფრო განმტკიცდეს მეგობრობა უკრაინისა და საქართველოს მშრომელებს შორის!

**ეკტოვი,**
სტალინოს მეტალურგიული ქარხნის დირექტორი.

**კუზუბი,**
ქარხნის პარტკომის მდივანი.

**გუნიბი — დუშეთი**

დაღესტნის ასსრ გუნიბის რაიონის მშრომელები ულოცავენ დუშეთის რაიონის მშრომელებს დიდი ოქტომბრის დღესასწაულს და უსურვებენ წარმატებებს სკკპ XXI ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა გადაჭარბებით შესრულებაში, რაიონის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომ განვითარებაში.

**იუსუფოვი,**
პარტიის გუნიბის რაიკომის მდივანი.

**მუსაევი,**
გუნიბის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

---

# მსოფლიოს ჰავა

★

**მელორ სტურუა**

★

ამას წინათ ვინმე რეიკელდერფერმა, რომელიც ამერიკის ამინდის პროგნოზების ბიუროს საპატიო ხელმძღვანელია, შეშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ „რუსეთი ამინდის კონტროლისადმი სულ უფრო მეტ ინტერესს იჩენსო". მისტერი რეიკელდერფერი ნაღვლიანად წინასწარმეტყველებდა: „თუ რუსეთმა ამ მხრივ გაუსწრო ამერიკის შეერთებულ შტატებს, იგი მეტი მნიშვნელობის უპირატესობას მიიღებს, ვიდრე ატომგულის იარაღი ან რაკეტებიაო".

ის საკითხი, თუ ვინ აკეთებს ამინდს ჩვენს დროებაში, უკვე დიდი ხანია იწვევს დასავლეთის ბურჟუაზიულ მოღვაწეთა შეშფოთებას. მას შემდეგ, რაც ლეგენდარული კრეისერის „ავრორას" ქვემეხების ქუხილმა მსოფლიოს აუწყა, რომ დაიწყო ახალი ერა კაცობრიობის ისტორიაში, მსოფლიოს ჰავა განუწყვეტლივ უმჯობესდება სოციალიზმის სასარგებლოდ, მიუხედავად იმისა, თუ სად ქანაობენ კაპიტალისტური ბარომეტრის ისრები — ქარიშხალს უჩვენებენ თუ შტილს.

ის გარემოება, რომ სოციალიზმი გასცდა ერთი ქვეყნის ფარგლებს და მსოფლიო სისტემად გადაიქცა, შეადგენს იმ ეპოქის მთავარ ნიშანს, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ. სწორედ ამიტომ მისტერ რეიკელდერფერის სეისმოგრაფი, მისთვის დიდად სამწუხაროდ, იძულებულია აღნიშნოს ის ფაქტი, რომ აღმოსავლეთის ქარი სჯობნის დასავლეთის ქარს, რომ სწორედ ეს მაცოცხლებელი ქარი წარმართავს ისტორიის აფრებს.

არსებობს თქმა, — ამინდის პროგნოზების ბიუროსავით ცრუობსო. დღეს, დიდი ოქტომბრის 41-ე წლისთავის დღეს, ეს გამოთქმა უნებურად გაგონდება, როცა იხსენებ ყოველივე იმას, რასაც ბატონი რეიკელდერფერები ახალგაზრდა საბჭოთა რუსეთის მომავლის შესახებ წინასწარმეტყველებდნენ. და არა მარტო ისინი. დიდ ფანტასტს ჰერბერტ უელსსაც კი რუსეთი წარმოედგინა მხოლოდ და მხოლოდ „წყვდიადში", ლენინს იგი „კრემლის მეოცნებეს" უწოდებდა, ხოლო რუსეთის ელექტროფიკაციის მის გენიალურ გეგმას — განუხორციელებელ უტოპიას. მაგრამ „კრემლის მეოცნებე" უდიდესი რეალისტი აღმოჩნდა, ხოლო რუსეთის მრავალსაუკუნოვანი წყვდიადი გაფანტა კომუნიზმის ჩირაღდნებმა — ილიჩის მინიატიურული ნათურიდან ციკლოპურ ელექტროსადგურებამდე. ჭეშმარიტად შესანიშნავია, რომ სწორედ ოქტომბრის ზეიმის წინადღეს ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა ვოლგის დამორჩილება — გადახიდულია მისი კალაპოტის უკანასკნელი 300-მეტრიანი ნაწილი მსოფლიოში უდიდესი ელექტროსადგურის — სტალინგრადის ჰესის კვეთში.

სპობენ რა წარსულის გადმონაშთებს, აგებენ რა მომავლის ხარაჩოებს, საბჭოთა ადამიანებმა ბანქოს ხუხულასავით დაამხეს პოლიტიკური ამინდის ბურჟუაზიულ წინასწარმეტყველთა პროგნოზები. „ბოლშევიკები ის ადამიანები არიან, რომლებსაც აბსოლუტურად არ შესწევთ უნარი რაიმე შექმნან — ისინი თავს გრძნობენ მხოლოდ იმისათვის დაბადებულად, რომ ანგრიონ", — დიდი ამბით ამტკიცებდა, მაგალითად, ინგლისის ნავთობის მეფე ჰენრი დეტერდინგი. მაგრამ ბოლშევიკებმა, რომლებიც დაბადებული არიან იმისათვის, რომ ზღაპარი სინამდვილედ აქციონ, მხოლოდ სერ ჰენრის ჰაერის კოშკები დაანგრიეს. მათ მთელ მსოფლიოს დაუმტკიცეს თავიანთი შემოქმედებითი გენია,ააშენეს სოციალიზმი და გაუშვეს თანამგზავრი დედამიწის გარშემო.

ამჟამად ორაკულები, რომლებიც ბატონ რეიკელდერფერის უწყებაში წინასწარმეტყველებენ, სულ სხვა ჰანგზე ამღერდნენ. მთელი თავიანთი, რბილად რომ ვთქვათ, შუბლმაგრობის მიუხედავად, მათ შეიცნეს, რომ წინასწარმეტყველებანი „სოციალიზმის კრიზისის" შესახებ შეუწყნარებელია პროგნოზების ბიუროებისთვისაც კი, რომლებიც ანტისაბჭოთა პროპაგანდაში დახელოვნდნენ.

„საბჭოთა კავშირის „მეორე აღმოჩენა", რაც ამჟამად დასავლეთში ხდება, ეს დროების ნიშანი — რუსეთის გამოსვლა საზიდრის საუკუნიდან და ატომის საუკუნეში შესვლა — თანამედროვეობის უდიდესი სასწაულია", — წერს მეტად ცნობილი ამერიკელი ჟურნალისტი დრიუ პირსონი წიგნში, რომელსაც ფრიად დამახასიათებელი სათაური აქვს: „ამერიკის შეერთებული შტატები მეორე თანრიგის სახელმწიფოა?". მას ბანს აძლევს სენატორი სპარკმენი: „ნამგლიდან თანამგზავრამდე 40 წელი — ეს, უეჭველია, საკმაოდ ამტკიცებს იმას, რომ კომუნისტთა წარმატებანი ემყარება არა სიტყვებს, არამედ საქმეს".

მილიარდერი საირუს იტონი, რომელიც ამას წინათ იყო საბჭოთა კავშირში, საკუთარი თვალით დარწმუნდა, რომ „ღატაკი და წერა-კითხვის უცოდინარი რუსეთი სამუდამოდ ჩაბარდა წარსულს".

დიახ, ახლა ქარი აშკარად სხვა მხრისაკენ უბერავს. ეს ცვლილება რომ შეამჩნიო, სრულებითაც არ არის სავალდებულო უსმენდე ამინდის პროგნოზების ბიუროს, სავსებით საკმარისია გქონდეს თვალი და ყური და, რა თქმა უნდა, ცოტაოდენი მიუდგომლობა.

რომ ვცადოთ ერთი სიტყვით გამოვთქვათ ის გამოხმაურება, რომელიც დასავლეთში გამოიწვია დედამიწის პირველი საბჭოთა ხელოვნური თანამგზავრის გაშვებამ, ეს სიტყვა იქნება — გაკვირვება. ხოლო თუ ვცდით ორი სიტყვით გამოვთქვათ დასავლეთის ბურჟუაზიის გამოხმაურება მეორე საბჭოთა თანამგზავრის გაშვებაზე, ეს იქნება — გაკვირვების უქონლობა. ეს, ნებსით თუ უნებლიეთ, შეიცავს დიდმნიშვნელოვან აღიარებას, იმის აღიარებას, რომ საბჭოების ქვეყნისაგან, სასწაულების ქვეყნისაგან შეიძლება მოელოდე ყოველგვარი საქმის შესრულებას, რაოდენ გაბედულიც უნდა იყოს იგი.

და აი ბატონ რეიკელდერფერებს უხდებათ სავსებით იცვალონ ფრონტი. რაკი მიხვდნენ, რომ „სოციალიზმის კრიზისი" ღმერთმა უწყის როდის შეიძლება მოხდეს, მიუხედავად მთელი ელვა-ჭექისა, რასაც მის წინაამდეგ მიმართავენ ის ადამიანები, ვინც დასავლეთში ამინდით ვაჭრობს, ისინი გადავიდნენ ახალი სახის წინასწარმეტყველებაზე — იმის შესახებ, თუ ვინ გაიმარჯვებს ორი მსოფლიო სისტემის — სოციალიზმისა და კაპიტალიზმის ისტორიულ შეჯიბრებაში. თუ წინათ წინასწარმეტყველება ბაქიობით ხასიათდებოდა, ამჟამად, როგორც წესი, მას პესიმიზმის ელფერი დაჰკრავს. „საბჭოთა ეკონომიკის ტემპები ძირს უთხრიან შეერთებული შტატების პირველობას", — წერს გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსში" „რუსეთის საქმეთა" ნაფიცი სპეციალისტი ჰარი შვარცი, სწორედ ის შვარცი, რომელიც ყოველთვის და ყოველივეს, რაც ჩვენ გვეხებოდა, მუქი ფერებით ხატავდა, რომელიც დღეში ორჯერ, ზოგჯერ კი უფრო ხშირადაც, წინასწარმეტყველებდა „სოციალიზმის მზის ჩასვენებას". „თუ კონტრასტი მზარდ საბჭოთა წარმოებასა და შეფერხებულ ან შემცირებულ ამერიკის წარმოებას შორის დიდხანს დარჩა, ამას შეიძლება სერიოზული შედეგები ექნეს". შვარცი იძულებულია აღნიშნოს, რომ საბჭოთა კავშირში „ეკონომიური პროგრესი დაუსრულებლად გაგრძელდება".

როგორც ვხედავთ, ზოგჯერ ამინდის პროგნოზების ბურჟუაზიულ ბიუროსაც კი სიმართლე წამოსცდება ხოლმე!

ძველი დროის ერთი ფილოსოფოსი ამბობდა, მნიშვნელოვანია არა მარტო ის ადგილი, რომელზეც თქვენ დგახართ, არამედ მნიშვნელოვანია ვიცოდეთ თქვენი მოძრაობა და ამ მოძრაობის სისწრაფეო. სწორედ ამიტომ ჩვენი სოციალისტური ეკონომიკის განვითარების ტემპები უფრო აშინებს კაპიტალისტური დასავლეთის ყველაზე შორსმჭვრეტელ კაპიტნებს, ვიდრე წყალბადის ბომბი და საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტა.

დიდი ამერიკელი საქმოსანი, რომელიც „კადილაკებს" ამზადებს, პრეზიდენტ ეიზენჰაუერის გულითადი მეგობარი და მისი მუდმივი პარტნიორი ჰოლფის თამაშში ფლოიდ აკერსი საბჭოთა კავშირში ყოფნის შემდეგ იმ დასკვნამდე მივიდა, რომ „რუსეთი აპირებს ჩვენ გაგვისწროსო".

„ფლოიდ აკერსი რომ ფლოიდ აკერსი არ იყოს, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ იგი პროპაგანდას აჰყვა", ამბობს გაზეთი „ვაშინგტონ პოსტ ენდ ტაიმს ჰერალდი", რომლის ფურცლებზეც გამოქვეყნებულია „კადილაკებით" ამ მოვაჭრის მოგზაურობის შთაბეჭდილებანი.

საბჭოთა პროპაგანდა საქმეებით პროპაგანდაა. განა ფაქტი არ არის, რომ მსოფლიოში პირველმა სოციალისტურმა სახელმწიფომ ააშენა მსოფლიოში პირველი ატომური ელექტროსადგური, გაუშვა დედამიწის მსოფლიოში პირველი ხელოვნური თანამგზავრი, შექმნა მსოფლიოში პირველი საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტა, აშენებს მსოფლიოში პირველ ატომურ ყინულმჭრელს, რომელიც ჯერ კი არ ჩამოსულა გემხარიხებიდან, მაგრამ უკვე ამსხვრევს სოციალისტური ეკონომიკის შესაძლებლობათადმი უნდობლობის ყინულს, ყინულის გზას უკვალავს პროგრესისა და ჰუმანიზმის იდეების ქარავნებს.

ამ ფაქტების არცნობა იმა[...] კი ვერ შეძლეს, ვისაც ჩ[...] წყობილება ბიოლოგიური ს[...]ლვილით სძულს. დრიუ პირსო[...] ცნობით, რომელიც ამ დღე[...] გაზეთ „დეილი მირორში" გ[...] ქვეყნდა, ამ ფაქტების ზეგავ[...]ნით ამერიკის შეერთებული შ[...]ტების ხელმძღვანელებმა ი[...] „იმ გეგმის განხილვა, თუ [...]გორ გამოუტყდნენ სიმართლ[...] საზოგადოებრივ აზრს, სახ[...]დობრ აღიარონ, რომ რაკეტ[...] ჭურვებისა და ხელოვნური თ[...] მგზავრების დარგში ჩვენ ბევ[...] ჩამოვრჩებით რუსეთს, რომ [...] გვემუქრება მეორეხარისხ[...] სახელმწიფოდ გადაქცევის [...]რთხე..." ამ განხილვის შედე[...] იშვა გეგმა, რომელსაც „გუ[...]დილობა" ეწოდა. მაგრამ ეს გ[...] ახდილობა უკვე მეტისმეტად [...]ულბელი აღმოჩნდა, და გ[...]უარყვეს.

„საბჭოები დაინტერესებ[...] არ არიან იმით, რომ ბევრი ქ[...] მიიღონ საპლანეტათშორისო [...]ვრცის კალათბურთის მატჩ[...] არაჩვეულებრივი უდარდე[...]ბით აცხადებენ თეთრი სახ[...] წარმომადგენლები. დრიუ პირ[...]ნის სიტყვით, „გულახდილო[...] ოპერაცია შეცვალა „დამამ[...]დებელი სიროპის" ოპერაცია[...]

მაგრამ ეს „დამამშვიდებ[...] სიროპები" იშვიათად თუ ვ[...] დაამშვიდებენ. დასავლეთში [...]მიანები სულ უფრო ნათლად [...]იცნობენ, რომ საქმე კალათბ[...]

ეროვნული ბიბლიოთეკა



მთავართბილმშენის მე-9 სამმართველოს მოწინავე მშენებლები (მარცხნიდან) ი. მაისაშვილი, გ. ეგიკაშვილი, შ. ბოსიკაშვილი, ნ. მამნიაშვილი, შ. ჩხუტიაშვილი.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

* * *

# მამული ვაშენოთ

კარგად მოვლილი მამული ოჯახის საგარეო ტანსაცმელია. როცა კოხტად გამართულ, დამშვენებულ კარმიდამოს უყურებ, სახლშიც არ შეხვალ, ოჯახის წევრებსაც არ ნახავ, ისე იტყვი დაბეჯითებით: — აქ შრომისმოყვარე, მეუყაითი კაცი ცხოვრობს.

ასეა ქალაქიც. მასაც აქვს თავისი საგარეო ტანსაცმელი, ასე ვთქვათ, ფასადი. ყოველი მამულიშვილი უნდა ცდილობდეს, რაც შეიძლება ლამაზი, თვალის მომჯადოებელი, გულის მომხიბვლელი იყოს ეს ფასადი, რომ ნანახით გაოცებულმა, განცდილით აღტაცებულმა მნახველებმა თქვან: — აქ შრომისმოყვარე მეუყაითე ხალხი ცხოვრობს.

ყოველი თბილისელი, ყოველი ქართველი კაცი ამაყობს თავისი ქალაქით, მაგრამ მუდამ ჭაბუკი დედაქალაქით. ჩამოსულ სტუმრებს ჩვენ სიამაყით ვაჩვენებთ ხოლმე ქართული კულტურის, ხუროთმოძღვრების დიდებულ ძეგლებს, ჩვენს სამრეწველო გიგანტებს, რომელთა მიერ გამოშვებულ პროდუქციას დღეს მთელ მსოფლიოში იცნობენ; ვაჩვენებთ ჩვენს თბილისს ფართო და ლარივით გაჭიმული პროსპექტებით, უნატიფესი ქართული ჩუქურთმებით დამშვენებული შენობებით; ვაჩვენებთ ქაშუეთს და ფუნიკულიორს, სიონს და ელექტრომავალსამშენებლო ქარხანას, ბოტანიკურ ბაღს და სახელმწიფო უნივერსიტეტს, განახლებულ, აღორძინებულ ნაძალადევს და ახალ საბურთალოს...

ვაჩვენებთ და გვინდა, რომ მეტი, უთვალავი გვქონდეს მნახველის მოსაწონი და გასაკვირვებელი. ამ სიამაყეს ყოველი კეთილი კაცი მამულიშვილურ სიყვარულში, შრომის სიყვარულში ჩამოგვართმევს. დღეს ჩვენ ვამაყობთ ჩვენი მამების, ჩვენი წინაპრების ნაამაგარით, რომლებმაც მზიური საქართველოს დედაქალაქი ქართულ ეროვნულ სიამაყედ ჩაგვაბარეს და დაგვილოცეს. ჩვენი მამულიშვილური ვალია უფრო აშენებული, უფრო დამშვენებული დავუტოვოთ იგი მომავალ თაობებს, რომ მათაც კმაყოფილებით და ქებით მოიხსენიონ ჩვენი ნაამაგარი.

ჩვენი ხალხი, რომელიც აღფრთოვანებულია კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური მამობრივი მზრუნველობით, რომელსაც გმირული შრომის და შემოქმედებითი ძალების გაფურჩქვნის ყველა პირობა აქვს შექმნილი, ცოტას როდი აკეთებს ამისათვის. ჩვენ მყარად, სიყვარულით ვაშენებთ ახალ, სოციალისტურ თბილისს, ვაშენებთ მამულს. ორ-სამ ათეულ წელიწადში ჩვენი რესპუბლიკა მძლავრ ინდუსტრიულ ქვეყნად გადაიქცა. დასავლეთის სამყაროს ბევრ ქვეყანას შეშურდებოდა ისეთი სამრეწველო გიგანტები, როგორიც არიან საქართველოს მეტალურგიული მრეწველობის პიონერი — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, ქართველი ხალხის სიამაყე — რუსთავის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხანა, ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის ავტომობილმშენებელი ქარხანა და ბევრი სხვა საწარმო. დღეს ჩვენი რესპუბლიკის ყველა კუთხეში ხარაჩოების ტყეა აღმართული. მწყობრში ვაყენებთ ახალ საწარმოებს, საცხოვრებელ კვარტალებს, კულტურის სასახლეებს. უახლოეს შვიდ წელიწადში ჩვენს საყვარელ დედაქალაქს შეემატება 27 ახალი საწარმო, რომელთა მესამედზე მეტი სამშენებლო მასალებისა და მოწყობილობის გამოშვებაზე იმუშავებს. მშრომელთა მუდმივად მზარდ მატერიალურ-კულტურულ მოთხოვნილებათა განუხრელი დაკმაყოფილებისათვის აიგება მუსიკალური ინსტრუმენტების, ტყავსაგალანტერიო ნაწარმის, ავეჯის, ბეწვეულის და სხვა საწარმოები. საბურთალოზე, ზემო ნავთლუღში, ღრმაღელეში, ავჭალაში ფართო მასშტაბით განხორციელდება საბინაო მშენებლობა. 1965 წლისათვის ჩვენი დედაქალაქის საცხოვრებელი ფონდი 680 ათასი კვადრატული მეტრით მეტი იქნება, ვიდრე ახლა არის. თბილისი მიიღებს ბუნებრივ გაზს, ქალაქს დაამშვენებს ახალი მაგისტრალები, პარკები, ხეივნები.

ძნელია ჩამოთვალო ყველაფერი, რაც უახლოეს წლებში გაკეთდება თბილისის კეთილმოწყობისათვის. მშენებელთა საპატიო ვალია ღირსეულად და სრულად განახორციელონ ეს გეგმები, იმუშაონ მეტი თავდადებით, მეტი გატაცებით.

ჩვენი საამაყო დედაქალაქის — თბილისის კეთილმოწყობისათვის, შნოსა და ლაზათის შემატებისათვის ყველაზე უფრო თვითონ თბილისელს უნდა შესტკიოდეს გული. შენი სახლის, შენი მამულის დამშვენებისათვის შენზე მეტი სიყვარულით არავინ იზრუნებს, შენზე მეტ სიბეჯითესა და მეუყაითობას არავინ გამოიჩენს, თბილისი თბილისელებმა უნდა აშენონ!

მოდით ეს საქმით დავადასტუროთ, ერთსულოვნად, სიყვარულით ვაშენოთ თბილისი თბილისელებმა, ვაშენოთ მამული!

დურგალი **ი. მაისაშვილი**, კალატოზი **შ. ჩხუტიაშვილი**, შემდუღებელი **გ. ეგიკაშვილი**, მემონტაჟე **ნ. მამნიაშვილი**, მებეტონე **შ. ბოსიკაშვილი**.

# სიცოცხლის დასაცავად

8 ნოემბერს თბილისში მუშაობა დაიწყო უცხოეთის ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის წარმომადგენელთა სემინარმა. სემინარში მონაწილეობას იღებენ იმ ქვეყნების ცნობილი სპეციალისტები, რომელთა მიზანია ჯანმრთელობის დაცვის ამაღლება. საბჭოთა კავშირი, რომელიც დიდ მატერიალურ დახმარებას უწევს ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციას, დათანხმდა საშუალება მიეცა უცხოეთის მრავალი ქვეყნის წარმომადგენელთათვის გასცნობოდნენ ჩვენს ქვეყანაში ჯანმრთელობის დაცვის საქმეს და იმ გზებს, რომლებითაც ჩვენმა ქვეყანამ მიაღწია მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ასეთ მაღალ დონეს.

გუშინ ჩვენი გაზეთის თანამშრომელი ესაუბრა სემინარის რამდენიმე მონაწილეს. ქვემოთ ვაქვეყნებთ ამ საუბრებს.

## პროფესორი მუჰამედ ოსმან შოიბი
(არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკა)

ექიმებს ცოტა ძუნწად გვიყვარს ლაპარაკი, მაგრამ იმდენი რამ კარგი ვნახე საბჭოთა კავშირში, რომ სიტყვაძუნწობა აქ რაღა მოსატანია.

პირველი შთაბეჭდილება, რომელიც თქვენ თვალუწვდენელ ქვეყანაში ჩამოსვლისთანავე ექმნება კაცს, წარმოუდგენელი და ამაღელვებელია. საბჭოთა კავშირი არის ქვეყანა, რომლისგანაც უნდა ისწავლონ მსოფლიოს ხალხებმა, როგორ უნდა ცხოვრობდეს და ცოცხლობდეს ადამიანი.

ამას წინათ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში უკრაინის დელეგაციამ მეტად საჭირო საკითხი წამოაყენა — გამოცხადებულ იქნას 1960 წელი საერთაშორისო ჯანმრთელობის დაცვის წლად. ეს ფრიად გონივრული ღონისძიება კიდევ უფრო შეუწყობს ხელს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ხალხის ჯანმრთელობის დაცვის დიდმნიშვნელოვან საქმეს. მივესალმები და მხარს ვუჭერ ამ წინადადებას.

ადამიანის ბედნიერება და სიხარული დიდად არის დამოკიდებული ჯანმრთელობაზე. ადამიანთა ჯანმრთელობას კი ყოველდღე ემუქრებიან ატომგულური ნივთიერებით და რადიაქტური სხივებით, და მსოფლიოს ყველა პატიოსანი ექიმი უზომოდ მადლობელია თქვენი დიდი ქვეყნისა, რომელიც სიცოცხლისა და მშვიდობის ურყევი ბურჯია.

## დოქტორი მისის გრაფი
(ლიბერია)

საბჭოთა კავშირში ჩამოსვლა ჩემთვის არა მარტო საინტერესო, არამედ დიდად სასარგებლოც აღმოჩნდა. დიდად მოხარული ვარ როგორც დედა და ექიმი რომ ვნახე თქვენს დიად ქვეყანაში დედისა და ბავშვის ჯანმრთელობისათვის ასეთი უმაგალითო ზრუნვა.

ჩემი ქვეყანა ლიბერია ექიმების დიდ ნაკლებობას განიცდის. მის მესვეურებს კი ხალხის ჯანმრთელობაზე ფიქრისათვის არც დრო აქვთ და არც გული. როცა სამშობლოში დავბრუნდები, ვეტყვი ლიბერიელებს, რომ არსებობს დიადი ქვეყანა — საბჭოთა კავშირი, სადაც ადამიანის ჯანმრთელობას თვალისჩინივით უფრთხილდებიან, და აქ მიღებულ ძვირფას გამოცდილებას ჩემი ხალხის კეთილდღეობას მოვახმარ.

## პროფესორი პიროსკი
(არგენტინა)

ამდენი ღიმილი და სიხარული არც ერთ ქვეყანაში არ შემხვედრია. საბჭოთა კავშირი ადამიანთა ჯანმრთელობის ნამდვილი კერაა. სწორედ ამ ჯანმრთელი საბჭოთა ადამიანების მარჯვენით არის შექმნილი ყოველი სიდიადე ირგვლივ.

გაუმარჯოს მშვიდობას, ჯანმრთელობას და სიცოცხლეს ქვეყნად!..




## ვლადიმერ გელაშვილი

პატარა, ოთხიოდე წლის ბუთხუზა ბიჭი მორბის ორღობეში.

მორბის და მღერის.

ახალგაზრდა, ეშხიანი ქალი ასდევნებია. ხელში ბიჭუნას პალტო უჭირავს.

— დაიცა, დედა გენაცვალოს... დაიცა, ჩაიცვი და ისე წადი...

შვილს კი თითქოს არ ესმის. გზას განაგრძობს. ხმას უფრო აუწია — რა კარგია ჩემი სოფელი-ი... და...

ნაწვიმარზე ფეხი აუცურდა პატარას. შეტორტმანდა. ფრთხილად ჩაიჩოქა. დედა წამოეწია. წამოაყენა. წამით გაოცდა — ბიჭს ტუჩები წითლად შეღებოდა. საშიში არაფერი იყო, და დედას გაეცინა. მიმავალ მანდილოსნებს შესჩივლა.

— ქა, გადაირია ეს ხალხი.. რითი ვერ გაიგეს, რომ მაჭარს უკვე ძალა მიეცა, აღარ შეიძლება ბავშვს დაალევინო... ვინ დაგალევინა შვილო...

ბიჭუნამ მორჩილად გაუყარა მკლავები პალტოში. დედისთვის პასუხი არ გაუცია, ისე განაგრძო თავის გზა და სიმღერა — რა კარგია ჩემი სოფელი-ი და...

მაჭრის ულვაშებიან ბუთხუზას სიყვარულით გააყოლეს თვალი ამ კარგი სოფლის ქალებმა და ხმამაღლა გაიცინეს.

დედას აღარაფერი უკითხავს. იცოდა კოლმეურნეობის ბაღში მიდიოდა პატარა. მიდიოდა. მისი წკრიალა სიმღერა, ჩქარა ნაკადულივით შეუერთდა ხილის მკრეფავთა საერთო მხიარულებით აჩმაურებულ ბაღს.

ახლა მთელი სოფელი ბაღშია. დახუნძლული ხეები შემოდგომის ცივ ქარში მძიმედ არხევენ ტოტებს. თითქოს კი არა ნამდვილად გაუჭირდათ, მეტი აღარ შეუძლიათ. არწევენ მიწამდე დაშვებულ მკლავებს, მშველელს უხმობენ. აი მარჯვე ადამიანებიც კრეფენ, კრეფენ, კრეფენ...

შედიხარ ბაღში და გგონია ზღაპრულ ტყეში მოხვდი. მოახლოებულმა ზამთარმა რთვილი გამოგზავნა „მახარობლად". მაგრამ კარგად მოვლილი ხეების ფოთლები ჯერ კიდევ ჯავარზე არიან და მწვანედ ხასხასებენ. მწვანე ფონზე წითელი და ქარვისფერი ტბებივით მოჩანან მოკრეფილი ვაშლის დიდი გროვები.

რა მოსავალია! მაინც რა მადლი აქვს ამ ჩვენს მიწას და მზეს. მაგრამ ყველაფერი განა ბუნების სიკეთეს მივაწეროთ? ამ წარმტაც ადგილს, სადაც ახლა სტალინირის რაიონის სოფელ აჩაბეთის კოლმეურნეობის ხეხილის ბაღია გაშენებული, შემორჩა ძველი სახელი — „ეკლიანები".

ჰო, ჯაგნარი და ეკლნარი ყოფილა აქ, არც თუ ისე შორეულ წარსულამდე. მარტოხელა გლეხკაცი ხელისხლებას ვერ უბედავდა. მერე თანდათან სოფლის გაერთიანებულმა ძალამ შეუტია. ოციოდე წლის წინათ ეკლნარის მაგივრად მდინარე დიდი ლიახვის ამ მშვენიერ სანაპიროზე ხეხილის ახალგაზრდა ბაღი აიჭრა. ამ ფართობზე — ოცდათოთხმეტ ჰექტარზე ერთბაშად გამწკრივდა „კეხურა", „ქართული სინაფი", „შამპანური რენეტი"...

არა, მშობლიურ მიწას სიტკბოს და მადლს ვერ დავუწუნებთ. არა, მეგობრებო, არა! მას თავისი ტკბილი და თბილი ძუძუ ჯაგისთვის და ეკლისთვის არ ემეტებოდა. აწვალებდა, ძირმწარეს ასმევდა, გვალავდა უმსგავსო, უსარგებლო მცენარეს. რა გინდათ ჩემგანო. ახალი ცხოვრების ადამიანმა ამოძირკვა და გადაყარა ეს პარაზიტი. მიწამაც როგორც კი იგრძნო გლეხკაცის მადლიანი მარჯვენის სითბო, ალერსი, მკერდი გადაიხსნა. აგერ ორი ათეული წელია სავსე ძუძუს აწოვებს ამ ბაღს. მართლაც, დედის რძესავით ტკბილია და სურნელოვანი ეს ნაყოფი. აიღეთ კეხურა. განა ვარდითა და რძით არ არის შეზავებული!

ვანო ბაბუციძე, თავის მხნე, ხალისიან თანასოფლელებთან ერთად დახრილა ვაშლის ხევთან, ფრთხილად აწყობს ვარდისფერ კეხურას ყუთში.

ვანოს გუშინდელი დღესავით ახსოვს, როცა ამ ბაღს აშენებდნენ. ეს დატვირთული გოლიათები, მაშინ უსუსური ნერგები იყვნენ. გუშინდელი დღესავით, — იტყვის კაცი, თორემ, რამდენმა წყალმა ჩაიარა მის შემდეგ. წყალი რა სათქმელია. ვანო ბაბუციძე, ჩემი ქართველი გლეხკაცი, ცეცხლისა და ტყვიის ნიაღვარშიც იდგა.

გერმანიიდან წამოსულმა მზაკვარმა მტერმა ჯერ ფერდში დასჭრა. მარჯვენა მკლავის ძვალიც გადაუმსხვრია ტყვიამ. ნეტავ ვის რას უშავებდა ეს მკლავი! იგი ხომ ხეხილს რგავდა, მოსავალი მოჰყავდა, თონის პურსა და განთქმულ ჩვენებურ ღვინოს თავაზობდა სტუმარს. მტერს კი შეშურდა მისი კაი კაცობა. მარჯვენაში ტყვია დაჰკრა. მერე მარცხენა თვალის შუქიც ჩაუქრო ფაშიზმის ლითონმა. დაცხრილეს გლეხკაცი. მაგრამ, ბოროტებამ მაინც ვერ იზეიმა კეთილზე. დედამიწის დიდი სიცოცხლის ქომაგმა მარჯვენამ ჭირი მოიხადა და მაინც ცოცხალი დარჩა.

ომგადახდილი ნატყვიარი მარჯვენით კვლავ ელერსება ამ ხეებს. თვალით ზომავს ვაშლის ხვავს. უყურებს ბედნიერ თანასოფლელებს და კმაყოფილებით ფიქრობს იმაზე თუ რა დიდ მონაპოვარს იცავდა ისიც ომის ქარცეცხლში.

იგი კითხულობს ხოლმე — სად გაიგზავნება აჩაბეთის რჩეული ხილი? ყველასათვის ემეტება. მაგრამ როცა მოსკოვის და ლენინგრადის სახელებს გაიგონებს, მაინც განსაკუთრებით სასიამოვნოა. დიდი ნობათი ეკუთვნით მოსკოვს და ლენინგრადს — ოქტომბრის რაინდებს. ამ ერთი უბრალო სოფლის — აჩაბეთის სიხარულიც მათი შუქით არის ამაღლებული.

ასევე სძლევს პირად სევდას ჯარისკაცის ქვრივი, ვანოს მეზობელი ვარა ოტიაშვილი. მისი ქმარი — არჩილი, აჩაბეთში პატიოსანი შრომით და ცხოვრებით განთქმული გლეხკაცი, წავიდა ომში, წავიდა ოქტომბრის დიადი მონაპოვრის დასაცავად და თავი გასწირა.

არჩილის ფუძეზე გაიზარდა მისი ვაჟიშვილი დიმიტრი. იგი დაოჯახდა. შვილიც ყავს — პატარა ლეილა. ვარას ამხნევებს ოჯახის სითბო.

დედა-შვილმა გადასწყვიტეს ახალი სახლი აეგონ იმ საკარმიდამო ნაკვეთში, რომელიც ასე მოქარგული და გამშვენიერებული დატოვა არჩილმა. ეს ხეხილი ვარამ და არჩილმა ერთად გააშენეს. ახალი სახლი ჯარისკაცის უკვდავების ძეგლი იქნება. ხოლო ხეთა თამამი შრიალი, მეტყველი სუნთქვა, რომელიც კარგი მშრომელი კაცის სახსოვრად დარჩა კარმიდამოს.

ხეხილის ბაღში მღერის და იცინის აჩაბეთი. ადამიანთა ამ ღიმილში, ხმათა ჟღერაში ცოცხლობენ ომში თავდადებული ჩვენი მახლობლები.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე კოლა ბაბუციძე ჩვენთან ერთად ანგარიშობს ერთ-ერთი ჰექტარის გამოსავლიანობას — 140 ცენტნერი საუკეთესო კეხურა! ძველი მებაღე, სამოცდაათწელს მიღწეული ილო ბაბუციძე ყვება, როგორ იქნა მოპოვებული ეს წარმატება. ხეხილის ბაღში როდის შეიტანეს ორგანული სასუქი, როდის მინერალური, რა გულმოდგინედ ტარდებოდა შეწამვლა...

კარგია ჩვენებური მიწა, მაგრამ კვების დამატებითი „რაციონი" ძალიან რგებს ხეხილს.

— ახლა ხეები დავაქკაცებული არიან — ამბობს ილო — დიდი მუშაობა აქვთ. როგორც მუშა კაცს, ასევე მაგათაც გაძლიერებული კვება უნდათ...

მებაღის ეს ჰკვიანური სიტყვები კვლავ გავიხსენეთ, როცა ბაღის განაპირას ერთ დიდ ვაშლის ხესთან შევჩერდით. ეს ხე, თუ შეიძლება ასე ვთქვათ აჩაბეთელთა ამ მშვენიერი ბაღის ფალავანია. მის მხრებზე წლობლად წითლად ღვივის ერთ ტონანახევარზე მეტი რჩეული ვაშლი. მთელი ეს სილამაზე და სიმძიმე რამდენსანს ეპყრა ამ „მძლეოსან" ხეს. მართლაც რა პატიოსნად უშრომია. უშრომია და ამ გვიან შემოდგომაზე მოუხსნია ეს მშვენიერი „ტვირთი", ალალ ნობათად მიურთმევია გამრჯე ადამიანებისათვის.

თერთმეტი მეტრის სიგანეზე გაუშლია ახლა ამ ხეს ძლიერი ტოტები და ალბათ ახალი ყვავილობისათვის ემზადება. თერთმეტი მეტრი! აი რა ფართობი უკავია ამ „ფალავანს" და რა მოსავალი დაახვავა. განა შეიძლება უზრუნველად დახედო მიწას, რომელსაც ასეთი ძუძუ აქვს!

— ეს ოცჰექტარიანი ბაღი — მიგვითითებს კოლმეურნეობის თავმჯდომარე სარწყავი არხის ნაპირას გაშლილ ფართობზე — მიმდინარე წელს გავაშენეთ. ბაღ-ვენახი შემდგომშიც დაიკავებს ახალ ჰექტარებს...

კოლმეურნეობას სწორი გეზი აქვს აღებული. რა თქმა უნდა, სხვა დარგებიც არ რჩება ჩრდილში. წელს აჩაბეთში უხვია შაქრის ჭარხლისა და სიმინდის მოსავალიც. აგერ რა თამამად გაუხელია თვალი ჯეჯილს. მინდვრის სიცოცხლე ახალი ძალით იწყება.

პარტიისა და მთავრობის ცნობილი ღონისძიებების შემდეგ დიდი გარდაქმნა მოხდა აჩაბეთელ მეცხოველეთა საქმიანობაში. ციფრების ენა მოკლედ და მკაფიოდ გადმოსცემს ზრდას: 1955 წელს თვითეულ საფურაქე ძროხაზე 280 ლიტრი რძე მიიღეს! ჰმ, 280 ლიტრი! ეს ახლაც სირცხვილად ყოფნით და სასაცილოდ არ ყოფნით. წელს ვალდებულება აიღეს — თვითეულ საფურაქე ძროხაზე მიეღოთ 1.500 ლიტრი. უკვე მიღებულია 1.600. იბრძვიან ეს ციფრი გაზარდონ სულ ცოტა — 1.700-მდე. აი ნაბიჯი!

მეცხოველეები, რომლებმაც სვლის ასეთი ტემპი აიღეს გარემოცული არიან მთელი სოფლის მზრუნველობით. ფერმას აღარავინ გაურბის, იქ მუშაობა სახალისო და საამაყო გახდა. საინტერესო სახე მიიღო მწველავთა შეჯიბრებამ, ცუცა ჭულუხაძე და ნინო ხაბარელი უკანასკნელი წლების მანძილზე ზედიზედ ართმევენ ერთმანეთს პირველობას.

მოხდა ასეთი ამბავი: მოწინავე მწველავთა საოლქო თათბირზე საკაბით დააჯილდოვეს ცუცა ჭულუხაძე. საჩუქარი, შრომაში წარმატებისათვის, რაგინდ მცირეც არ უნდა იყოს, განსაკუთრებით სასიამოვნოა. სოფელში სწრაფად გავრცელდა ცუცას დაჯილდოების ამბავი. შეიკრიბნენ კოლმეურნეები, მიულოცეს. გულით მიულოცეს.

— ნინო ხაბარელი ჩვენ დავაჯილდოვოთ! — მოითხოვეს ერთხმად.

სტალინირში აფრინეს კაცი. არჩევდნენ საკაბეს...

ჯილდოდ მიღებულ კაბებს ზეიმის დროს იცვამენ ხოლმე ნინო და ცუცა. სხვა დროს კი თეთრხალათგადაცმულნი, უფრო თეთრი და ქაფქაფა რძით ავსებენ ვედროებს.

შარშან აგებულ კარგ კაპიტალურ სადგომშია ახლა მოთავსებული კოლმეურნეობის მეძროხეობის ფერმა. მსუყე, მაძღარი ზამთარი ელოდება ფერმას. მარტო სილოსი თვითეულ ძროხაზე თორმეტი ტონაა ჩადებული.

სოფლის ყველაზე უფრო თვალსაჩინო ადგილზე, რომელსაც უბრალოდ „მოედანს" ეძახიან, აუგიათ დიდი ორსართულიანი კაპიტალური შენობა. მთავარი დარბაზი, რომელიც საკოლმეურნეო კლუბს დაეთმობა, ორასი კვადრატული მეტრია. ახლა შენობას ხურავენ. მარჯვედ შრომობენ სოფლის განთქმული დურგლები მამა-შვილი ხანდრო და გოგი გოგიძეები.

დურგლებს, კალატოზებს ვინ მოაცლის განახლებულ აჩაბეთში. საკოლმეურნეო დოვლათის ზრდამ გაზარდა გლეხკაცის სიხარული, სითამამე შემატა მის აზრს.

ავიღოთ ერთი მრავალთაგანი — შრომისმოყვარე კოლმეურნის შალვა ხაბარელის ოჯახი, რომელსაც გამომუშავებულ შრომადღეებზე სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გარდა ფულად ერგება სულ ცოტა 30.000 მანეთი.

ასეთი შემოსავალი კოლმეურნეებს კარნახობს ახლებურად მოაწყონ ცხოვრება. აჩაბეთში სულ ასსამოცი კომლია. უკანასკნელი სამი წლის მანძილზე სამოცზე მეტმა ოჯახმა აიშენა ახალი კაპიტალური საცხოვრებელი სახლი. უფრო ჭარბობს მრავალოთახიანი, ორსართულიანი. მშენებლობა კვლავ ფართო მასშტაბით მიდის.

დაე იცხოვრონ შეძლებულად შრომის ადამიანებმა. ეყოთ, ეყოთ, ეყოთ წარსულში ჩვენს სოფლებს რბევა-აწიოკება, ტანჯვა-ვაება. ახლა იხარე ჭეროვ-მაჭარი დუღს ქვევრებში. თონე ბრიალებს. ფრთაგაშლილი სიხარული გულში ვერ ეტევა. უბრალო ადამიანი, ასე სანუკვარი სამშობლოს შვილნი, თავისი მიწა-წყლის ბატონ-პატრონი მშრომელები, ნამდვილი სიხარულისა და ბედნიერების გზაზე გამოიყვანა ყველაზე დიდმა მოამაგემ და გაუმტყუნარმა წინამძღოლმა — ლენინის პარტიამ, დიადი ოქტომბრის შემოქმედმა პარტიამ, რომლის სახელოვანი XXI ყრილობისათვის ჩვენი სამშობლოს ყველა ქალაქთან და სოფელთან ერთად შრომითი საჩუქრებით ემზადება ალალ-მართალი აჩაბეთიც.

* * *

ჩვენი დიადი ცხოვრება თავისი ნათელი გზით მიდის. მე ახლაც გამახსენდა ბიჭუნა, ოთხი წლის აჩაბეთელი. ბავშვმაც შეიგრძნო ცხოვრების სიკეთე, თითქოს ხელახლად გავიგონე მისი წკრიალა ხმა: — რა კარგია ჩემი სოფელი-ი და...

მართლაც, რა კარგი ხარ ჩემო სოფელო!



თის მატჩი კი არ არის, თუნდაც კოსმოსური მასშტაბებით, არამედ ორი მსოფლიოს სისტემის შეჯიბრება, რომელშიც სასწორი სულ უფრო მეტად იხრება სოციალიზმის სასარგებლოდ.

„შეჩერდი წამო, მშვენიერი ხარ" — ამ შელოცვით ცდილობდა ოდესღაც ფაუსტი შეეჩერებინა მიმქროლავი დრო. წამი, რომელსაც ამჟამად განიცდის საბჭოების ქვეყანა, რომელიც თავისი დაბადების 41-ე წლისთავს დღესასწაულობს, ჭეშმარიტად მშვენიერია. ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს ყველა კუთხიდან მოდის სასიხარულო ცნობები მინდვრების მშრომელთა, უხვი მოსავლის ოსტატთა გამარჯვებების შესახებ, სახელგანთქმული მეფოლადეების სარეკორდო დნობათა შესახებ, მეცნიერთა ბრწყინვალე აღმოჩენების შესახებ. მაგრამ ჩვენ მაინც არ ვაპირებთ შელოცვებით შევაჩეროთ დრო. ჩვენ სიხარულით შევყურებთ მომავალს, მტკიცედ გვწამს, რომ იგი — ეს მომავალი, პოეტების მიერ ხოტბაშესხმული კომუნისტური მომავალი, კიდევ უფრო მშვენიერია და აუცილებლად გვეკუთვნის ჩვენ.

იქ, დასავლეთში, გოეთეს ფაუსტის მსგავსად, ცდილობენ შელოცვით შეაჩერონ დრო. მაგრამ არა იმიტომ, რომ იგი მშვენიერია, არამედ იმიტომ, რომ მომავალი გაურკვეველია და ყოველ შემთხვევაში იგი ვერასგზით ვერ იქნება აწმყოზე უკეთესი. ჰენრი ფორდი — ამერიკანიზმის ერთ-ერთი ბურჯი, შეშფოთებული აცხადებს: „არ ვიცი საით მივდივართ. არის ორი მკაფიო მიმართულება, რომლებითაც შეგვიძლია ვიაროთ. ერთი მათგანია ომი, მეორე — გაკოტრება". მასბანს აძლევს ჰარვარდის უნივერსიტეტის სოციოლოგიის ფაკულტეტის დეკანი, საკმაოდ ცნობილი პიტირიმ სოროკინი, რომლის შესახებაც თავის დროზე წერდა ლენინი. სოროკინი ამბობს: „ყველა ფასეულობა დამხობილია, ყველა ნორმა შემუსვრილია, ყველგან გამეფებულია გონებრივი, ესთეტიკური და სოციალური ანარქია. კრიზისი ყოვლისმომცველია, მან თავიდან ბოლომდე მოიცვა კულტურისა და საზოგადოების თითქმის ყველა დარგი".

უფრო ლაკონიურად, მაგრამ არანაკლები გამომეტყველებით ამბობს ჯონ ფოსტერ დალესი: „ჩვენ თვითმკვლელთა კლუბის წევრები ვართ".

დიახ, კაპიტალიზმის ასეთ წამს არა გვგონია შეიძლებოდეს მშვენიერი ეწოდოს!

საბჭოთა ადამიანებმა, არა მსგავსად მისტერ დალესისა, იციან, საით მიდიან. საბჭოთა ადამიანები, არა მსგავსად მისტერ დალესისა, დიადი მომავლის კლუბის წევრები არიან. მისტერ დალესმა არ იცის რას უმზადებს მას მომავალი დღე, საბჭოთა ადამიანები კი აჩაღებენ საყოველთაოსახალხო შეჯიბრებას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მომავალი რიგგარეშე XXI ყრილობის აღსანიშნავად, რომელიც შეიმუშავებს და დაამტკიცებს ჩვენი ეკონომიკის განვითარების საკონტროლო ციფრებს მრავალი წლისათვის. საბჭოთა ადამიანების ხელში საიმედო კომპასი — მარქსისა და ლენინის ყოვლისმძლე მოძღვრებაა, რომლის ისარი მომავლისაკენ არის გამიზნული. კაპიტალისტური ხომალდის კაპიტნების ხელში რაღაც სხვა არის. „დასავლეთის ცივილიზაციას, — წერს ამის შესახებ ამერიკული ჟურნალი „ნეიშნი", — ცუდად სძინავს, ჩემოდანი გამზადებული აქვს და ყოველ წუთს მზად არის გამოქვაბულებს მიაშუროს ან ნანგრევებად იქცეს".

ასეთია ისტორიის ლოგიკა: მაშინ, როცა საბჭოთა ადამიანები კოსმოსში ფრენაზე ოცნებობენ, დასავლეთის ცივილიზაცია ოცნებობს ნეანდერტალის ადამიანის ტყავში აღმოჩნდეს. მაშინ, როცა საბჭოთა ადამიანები ნანგრევებიდან აღადგენენ მშვენიერ სასახლეებს, შიშით შეპყრობილი დასავლეთის ცივილიზაცია ნანგრევებად იქცევა. მოკლედ რომ ვთქვათ, კაპიტალიზმმა დრო მოჭამა.

მაგრამ ამის აღიარება იოლი როდია, იოლი როდია ხელი აიღო მომავალზე. დალესი აცხადებს, როცა ჩვენ მომავალზე ვფიქრობთ და ერთად ვადგენთ მომავლის გეგმებს, ძველი ჭრილობები შუშდებაო. ხალხებმა კარგად იციან, მომავლის რა გეგმებს ატარებს გულში დალესი, „ძალის პოზიციის" პოლიტიკის ტრუბადური, „ომის ზღვარზე" მოქანავე ჯამბაზი. მისი გეგმები რომ განხორციელდეს, დედამიწა თავისი მოშუშებული ჭრილობებით, რომლებიც მეორე მსოფლიო ომმა მიაყენა, კვლავ გადაიქცევა ცეცხლის ბურთობად.

ძველმა ბერძენმა ფილოსოფოსმა არქიმედმა თქვა: „მომეცით დასაყრდენი წერტილი, და სამყაროს გადავაბრუნებო"... იმპერიალისტები, პირიქით. იმუქრებიან მთელი სამყარო გადააბრუნონ იმიტომ, რომ დასაყრდენ წერტილს კარგავენ. ამერიკელი სოციოლოგი უილიამ ჯონსი წიგნში „ომის მცირე ეკვივალენტი" ამტკიცებს, ომი რომ არ იყოს, კაცობრიობის ისტორია უფერული გახდებაო. „თუმცა ბუნებასთან ბრძოლა, — წერს იგი, — ზოგჯერ მკაცრია, მაგრამ არ შეიძლება დავიჯეროთ, რომ მას შეეძლოს უომრად სრული ზომით დაიცვას წითელი სისხლის დინება ჩვენს ძარღვებში".

რა შორს არის ეს კაცთმოძულეობითი ბოდვა ჩვენი შემოქმედი ხალხის განზრახვებისაგან, რომელიც მგზნებარედ მიისწრაფვის ბოლო მოუღოს ყველა ომს მსოფლიოში, გარდა ბუნებასთან ომისა. ჩვენ ვამჯობინებთ ვამუშავებდეთ ციმბირის დიდი მდინარეების უკან შებრუნების გეგმებს, შორეული ჩრდილოეთის მთელი ყინული რომ გავალხოთ, ისინი კი ამჯობინებენ ადგენდნენ დედამიწის მთელი რაიონების ყინულის უდაბნოებად გადაქცევის გეგმებს, რათა მთელი სამყარო შებოჭონ „ცივი ომის" ყინულის სუნთქვით. ჩვენ ვამჯობინებთ ვამუშავებდეთ უდაბნოთა გიგანტური მასივების გამწვანების გეგმებს, ისინი კი ამჯობინებენ შექმნან ახალი ატომური ომის მომზადების გეგმები, ომისა, რომლის შედეგად მარტო რადიაქტიური ნალექები უდაბნოდ გადააქცევენ სიცოცხლის გიგანტურ თაზისებს. მაგრამ ერთი გამორიცხავს მეორეს. სწორედ ეს აშფოთებს რეიკელდერფერის ყაიდის ვაჟბატონებს, რომლებიც თუმცა ამერიკის შეერთებულ შტატებში ამინდის ბიუროს ხელმძღვანელები არიან, მაგრამ ამ მაღალ პოსტზეც რომ იმყოფებიან, ვეღარ აკეთებენ ამინდს ჩვენს დროებაში, როცა სოციალიზმი მტკიცედ და საიმედოდ ცხადყოფს თავის გადამწყვეტ უპირატესობას კაპიტალიზმის წინაშე.




დგას კრემლის კოშკი მტკიცედ,
სამშობლოსავით მძლავრი,
ფრინავს მსოფლიოს ცაზე
მშვიდობის თანამგზავრი...
ხარობს ჩინეთი დიდი,
ზღაპრულ გმირივით მდგარი.
და ამოსუნთქვა ჩვენი
ეს ხომ გრიგალი არი...
დასავლეთის ქარს სჯობნის
აღმოსავლეთის ქარი!

ნახატი გ. ლომიძისა.
ტექსტი ს. არლუნელისა.

# სოციალისტურ ქვეყნებში

## დღესასწაულის წინ

პეკინი, 4 ნოემბერი. (საკდესი). ჩინეთში სულ უფრო ფართოვდება მზადება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 41 წლისთავის დღესასწაულისათვის. პეკინში, შანხაიში, ტიანძინში, გუანჯოუში, შენიანსა და სხვა ქალაქებში იხსნება სხვადასხვა გამოფენა, ფოტოვიტრინები, რომლებიც ასახავენ საბჭოთა ხალხის დიდ მიღწევებს ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში, ჩინელი ხალხისა და საბჭოთა ხალხის მჭიდრო ძმურ მეგობრობას, საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას.

ლიაონინის პროვინციაში გამოუშვეს 50 ათასზე მეტი ცალი პლაკატი თემაზე „ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ერთიანობა საყოველთაო მშვიდობის დაცვის მძლავრი ბასტიონია“. ხებეის პროვინციაში მოაწყეს 25 ათასზე მეტი სტენდი, რომლებიც ასახავენ კომუნისტურ მშენებლობას სსრ კავშირში. შანხაიში დაბეჭდეს 30 ათასზე მეტი ფერადი პლაკატი „აღმოსავლეთის ქარი ძლევს დასავლეთის ქარს“; ეს პლაკატი ასახავს მშვიდობიან შრომას სსრ კავშირსა და სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში.

ბევრ ქალაქში ამჟამად იმართება საბჭოთა მუსიკის კონცერტები, უჩვენებენ საბჭოთა კინოხელოვნების საუკეთესო ნაწარმოებებს. საწარმო-დაწესებულებებსა და სასწავლებლებში აწყობენ მოხსენებებსა და ლექციებს საბჭოთა კავშირის შესახებ, შეხვედრებს ჩინეთში მომუშავე საბჭოთა სპეციალისტებთან, სსრ კავშირში ნამყოფ ჩინელთა გამოსვლებს.

ჩინეთის პრესა ყოველდღიურად ბეჭდავს სხვადასხვა მასალას, რომელიც ეძღვნება საბჭოთა ხალხის მიღწევებს ცხოვრების ყველა დარგში. მაგალითად, დღეს გაზეთებმა „ჟენმინ ჟიბაომ“. „გუანმინ ჟიბაომ“, „გუნჟენ ჟიბაომ“ და სხვებმა დაბეჭდეს ბევრი სტატია, ფოტოსურათები, დიაგრამები, რომლებიც ასახავენ საბჭოთა ინდუსტრიის, მეცნიერების, კულტურის, საბჭოთა სპორტის სწრაფ განვითარებას.

გაზეთები ბეჭდავენ ბევრ სტატიას, კორესპონდენციებს იმის შესახებ, თუ როგორ ეხმარება სსრ კავშირი ჩინეთს მეტალურგიის სწრაფ განვითარებაში, რა თავდადებით შრომობენ საბჭოთა სპეციალისტები ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში.

## საბინაო მშენებლობა

რუმინეთი. სახელმწიფოსა და კოოპერაციული ორგანიზაციების სახსრებით 1951-1957 წლებში 59.642 ბინა აშენდა. უკანასკნელ წლებში ბევრმა მშრომელმა სახელმწიფოს მიერ მიცემული კრედიტებით აიშენა ინდივიდუალური ბინები. ამ გზით გაშენებული ფართობი გასული წლის დამლევს 366.800 კვადრატულ მეტრს უდრიდა.

ქალაქებისა და სოფლების მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების მეოხებით ამ ხნის განმავლობაში მოქალაქეთა პირადი სახსრებით 250.000-ზე მეტი ბინა აშენდა.

ფართოდ გაჩაღდა საბინაო მშენებლობა მუშათა დაბებში. რუმინეთის ქვანახშირის მრეწველობის ცენტრში — ჟიუს დაბლობში 5 წლის მანძილზე აშენდა 136 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, 54 ინდივიდუალური სახლი — სულ 3.000 ბინა. ამავე დროს აშენდა 11 საერთო საცხოვრებელი, რომლებიც გაანგარიშებულია 3.000-ზე მეტი ადგილისათვის — მარტოხელა მუშების უზრუნველსაყოფად.

მსხვილი სამრეწველო ობიექტების ამჟამად გაჩაღებულ მშენებლობასთან ერთად, მოლდოვაში, ტრანსილვანიასა და დობრუჯაში შენდება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები, რომლებშიც ამ ახალი დაბების მუშები იცხოვრებენ.

ბუქარესტის ცენტრში შენდება საცხოვრებელი სახლების დიდი კორპუსები, რომლებშიც რამდენიმე ათასი ბინა იქნება.

## ამერიკის დაზვერვა აწყობს ანტისაბჭოთა პროვოკაციებს

ბერლინი, 4 ნოემბერი. (საკდესი). როგორც ადნის სააგენტო იუწყება, ამერიკის სადაზვერვო ორგანიზაცია ამ ბოლო დროს ეწევა სპეციალური აგენტების გაძლიერებულ გადაბირებას, რომლებიც შესაბამისი მომზადების შემდეგ იგზავნებიან გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ავსტრიაში, ბელგიასა და სხვა ქვეყნებში სხვადასხვა პროვოკაციის მოსაწყობად საბჭოთა კავშირის მოქალაქეთა და დაწესებულებათა წინააღმდეგ საზღვარგარეთ. ამ საქმიანობას ხელმძღვანელობენ ამერიკის აგენტები ხოხლოვი და მიხაილოვიჩი.

ამ ბოლო დროს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე დააკავეს რამდენიმე აგენტი, რომლებმაც დაკითხვაზე აჩვენეს, რომ ერთ-ერთი ასეთი პროვოკაციული ჯგუფი, რომელსაც სათავეში ედგა აგენტი ხოხლოვი, პროვოკაციებს აწყობდა საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მოქალაქეთა წინააღმდეგ ბრიუსელის მსოფლიო გამოფენაზე.

## გადადგა ბელგიის მთავრობა

ბრიუსელი, 4 ნოემბერი. (საკდესი). დღეს პრემიერ-მინისტრმა გასტონ ეისკენსმა მეფე ბოდუენს გადასცა განცხადება მთავრობის გადადგომის შესახებ, რომელსაც იგი მეთაურობს. ეისკენსის მთავრობის შემადგენლობაში შედიოდნენ მხოლოდ სოციალურ-ქრისტიანთა პარტიის წევრები, რომელსაც არა აქვს ადგილების უმრავლესობა პარლამენტში.

პრესის ცნობით, სოციალურ-ქრისტიანთა პარტიის ხელმძღვანელები შეუთანხმდნენ ლიბერალური პარტიის წარმომადგენლებს ორპარტიული კოალიციური მთავრობის შექმნის შესახებ. ლიბერალთა და კათოლიკეთა კოალიციას პარლამენტში ექნება ხმების მნიშვნელოვანი უმრავლესობა.

## ადენის გაფიცულ მუშათა აწიოკება

ბეირუთი, 4 ნოემბერი. (საკდესი). როგორც პრესა იუწყება, ინგლისის ხელისუფალნი კვლავ უსწორდებიან ანგარიშს ადენის პროტექტორატის გაფიცულ მუშებს, რომლებიც აღსდგნენ ინგლისის კოლონიურ ხელისუფალთა წინააღმდეგ საბრძოლველად და გაილაშქრეს კოლონიური ჩაგვრის, რეპრესიებისა და ტერორის წინააღმდეგ.

## სამი სახელმწიფოს ჟენევის თათბირი

ჟენევა, 4 ნოემბერი. (საკდესი). დღეს ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის ჯ. უოდსვორტის თავმჯდომარეობით გაიმართა სსრ კავშირის, შეერთებული შტატებისა და ინგლისის წარმომადგენელთა მესამე დახურული სხდომა მოლაპარაკებაზე ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ. თათბირის მონაწილეებმა განაგრძეს დღის წესრიგის პროექტების განხილვა, რომლებიც სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციებმა შეიტანეს 2 ნოემბრის სხდომაზე. სსრ კავშირის წარმომადგენელმა ელჩმა ს. კ. ცარაპკინმა გააკეთა განცხადება ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებას საბჭოთა პროექტის თაობაზე.

## საომარი მოქმედება ალჟირში

პარიზი, 4 ნოემბერი. (საკდესი). ალჟირში გრძელდება გააფთრებული ბრძოლები საფრანგეთის ჯარებსა და ალჟირის ეროვნულ-განმათავისუფლებელი რმიის რაზმებს შორის.

საფრანგეთის ოფიციალური მონაცემებით, ერთი კვირის საომარი მოქმედების მსვლელობაში 27 ოქტომბრიდან 2 ნოემბრამდე მოკლული და დაჭრილია 559 ალჟირელი პატრიოტი. თავისი ჯარების ზარალის შესახებ საფრანგეთის სარდლობა არაფერს არ იუწყება.

ლონდონი, 4 ნოემბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ბლიდა-მედეას რკინიგზაზე ალჟირელ აჯანყებულთა მიერ ჩადებულ ნაღმზე აფეთქდა მატარებელი, რომელშიც ფრანგი ჯარისკაცები იყვნენ.

## ყ ო ვ ე ლ ი მ ხ რ ი დ ა ნ

◆ 4 ნოემბერს ტოკიოს 20 ათასზე მეტი მცხოვრები შეიკრიბა საზეიმო მიტინგზე, რათა გამოეხატა თავისი სიმპათიები საბჭოთა ხალხისადმი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 41-ე წლისთავთან დაკავშირებით.

მოხსენება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მნიშვნელობის შესახებ გააკეთა იაპონიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მიიამოტომ.

საზეიმო ნაწილის შემდეგ გაიმართა კონცერტი, რომელშიც იაპონელ მსახიობებთან და მუსიკოსებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს იაპონიაში საგასტროლოდ მყოფმა საბჭოთა მსახიობებმა.

◆ 4 ნოემბერს ნორვეგიის კომუნისტურმა პარტიამ აღნიშნა თავისი დაარსების 35 წლისთავი.

3 ნოემბერს ოსლოში სახალხო სახლის დიდ დარბაზში გაიმართა ამ ღირსშესანიშნავი თარიღისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება.

საზეიმო კრებაზე მოხსენება გააკეთა ნორვეგიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა იუსტ ლიპემ.

◆ იაპონიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ ნოსაკამ 4 ნოემბერს გამართა პრეს-კონფერენცია იაპონელი და უცხოელი ჟურნალისტებისათვის, რომელზეც განმარტა სერიოზული მდგომარეობა, რაც იაპონიაში შეიქმნა იმის შედეგად, რომ მთავრობა და ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია ცდილობენ ძალით მოახვიონ თავს ხალხს ახალი პოლიციური კანონი.

◆ 3 ნოემბერს ბუდაპეშტში ხელი მოაწერეს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიისა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერული თანამშრომლობის გეგმას. გეგმა ითვალისწინებს იმ თემების მნიშვნელოვნად გაფართოებას, რომლებსაც ერთობლივად დაამუშავებენ უნგრელი და საბჭოთა მეცნიერები.

# უცხოელთა თვალით...

დაუვიწყარია საქართველოში მიღებული შთაბეჭდილებები. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ის დიდი სიამოვნება, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ყოფნისას ვიგრძენი. ვესაუბრე რექტორს, პროფესორებს, სტუდენტებს. განცვიფრებული ვარ საქართველოში განათლების მაღალი დონით და იმით, რომ განათლების პროგრამაც შესანიშნავია.

ჯეიმს ბელინგტონი,
ჰარვარდის (ამერიკის შეერთებული შტატები) უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოსოფიის დოქტორი.

* * *

თბილისი ულამაზესი ქალაქია. ქართველები პატარა, მაგრამ დიდი შემოქმედებითი გაქანების ერია. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საბჭოთა ქვეყნისა და მსოფლიოს კულტურის საგანძურში.

მინდა შევნიშნო, რომ ქართველები უკეთ იცნობენ ინდოეთს, ვიდრე ჩვენ ვიცნობთ საქართველოს. ამაში დიდი წვლილი მიუძღვის ჩემს მეგობარს, ცნობილ მეცნიერს გიორგი ახვლედიანს. მან საქართველოში ჩაუყარა საფუძველი ჩვენი ენის ჰინდის შესწავლას.

ოქტომბრის რევოლუციამ აღორძინების ფართო გზა გაუხსნა ქართულ ეროვნულ კულტურას და ხელოვნებას. ქართველები შესანიშნავად იყენებენ ამ შესაძლებლობებს. ეს გარემოება ჩემს გულს წრფელი სიხარულით ავსებს.

ამ საზეიმო დღეებში მინდა თქვენი გაზეთის საშუალებით ჩემი მხურვალე სალამი გადავცე შოთა რუსთაველისა და ილია ჭავჭავაძის ხალხს კალიდასისა და თაგორის ხალხისაგან.

სუნიტი ქუმარ ჩატერჯი,
კალკუტის უნივერსიტეტის პროფესორი, ინდოეთ-საბჭოთა კავშირის კულტურული ურთიერთობის საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი.

* * *

ჩემო ძვირფასო ქართველო მეგობრებო! პირველ რიგში ნება მიბოძეთ გადმოგცეთ მხურვალე სალამი და მოლოცვა შორეული წყნარი ოკეანის ნაპირებზე მცხოვრები მეგობრებისაგან. ჩვენ შორს ვართ, მაგრამ ჩვენც თქვენთან ერთი მისწრაფებით და ერთი სულისკვეთებით ვცხოვრობთ. მე სპეციალობით კინოს მუშაკი ვარ და ამიტომ ქართულ კინემატოგრაფიაზე ვიტყვი ორ სიტყვას: ვიეტნამელმა მაყურებელმა დიდი კმაყოფილებით მიიღო თქვენი ფილმები „ისინი ჩამოვიდნენ მთებიდან“, „ჯრიჭინა“, „ორი ოკეანის საიდუმლოება“, „ოთარაანთ ქვრივი“, „სხვისი შვილები“. ჩვენს ეკრანზე შევიყვარეთ თქვენი ქვეყანა, თქვენი ხალხი. ახლა ნოემბერია, მაგრამ გაზაფხულივით თბილია თქვენი ქვეყანა. დასასრულს მინდა გითხრათ, რომ ვიეტნამი თავისუფალია კოლონიალიზმის უღლისაგან. ეს უდიდესი მოვლენაა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. ჩვენ გზა გაგვიხსნა დიდმა ოქტომბერმა, დიდი საბჭოთა კავშირის წარმატებებმა გააათკეცა ჩვენი ძალები.

ფამ ტუანხანი,
ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქის ჰანოის კინოსტუდიის დირექტორი.

* * *

ბათუმისა და მახარაძის რაიონების ჩაის საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების პლანტაციების დათვალიერების შემდეგ განცვიფრებული ვართ მაღალი მოსავლიანობით, რომელსაც ქართველმა მეჩაიეებმა მიაღწიეს.

ურთიერთგაცნობა და გამოცდილების გაზიარება კიდევ უფრო შეუწყობს ხელს საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებას. ცეილონის ხალხის სახელით ნივესალმები საბჭოთა საქართველოს. გაგიმარჯოთ შრომასა და ლხინში.

ბალაკუმარა მაჰადევა,
ცეილონელ მეჩაიეთა დელეგაციის ხელმძღვანელი.

# საჩუქარი მეშახტეებს

ბევრი ახალი საცხოვრებელი სახლი, კულტურულ-საგანმანათლებლო დანიშნულების შენობა იქნა აგებული უკანასკნელ ხანს აფხაზეთის ახალ ინდუსტრიულ ქალაქ ტყვარჩელში.

ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტის მეშახტეები და შახტმშენებლები დიდი ოქტომბრის 41-ე წლისთავისათვის იღებენ შესანიშნავ საჩუქარს — მეშახტეთა კულტურის სასახლის ლამაზ და მონუმენტურ შენობას. შენობა დააპროექტა საქართველოს შახტების დაპროექტების სახელმწიფო ინსტიტუტმა. პროექტის ავტორები არიან არქიტექტორები კ. ჩხეიძე და ვ. სიხარულიძე. მშენებლობა განახორციელა საქართველოს შახტების მშენებლობის ტრესტის „ტყვარჩელშახტმშენის“ სამმართველომ.

მთავარი ფასადი, რომელიც თეატრალურ ქუჩაზე გადის, შემკობილია სვეტებით, მოპირკეთებულია ნაძერწი დეტალებით და ეკლარის ქვით.

სასახლეს შიგნით ამკობს მოსკოვის ქარხანა „ელექტროსვეტში“ დამზადებული მრავალი ჭაღი. მაყურებელთა დარბაზის ჭაღი, რომელსაც 320 ნათურა აქვს, იწონის დაახლოებით ორ ტონას და ძირითადად გაკეთებულია ბრინჯაოსა და ბროლისაგან.

შენობის საერთო ფართობია 5.300 კვადრატული მეტრი. დარბაზში 750 ადგილია. აქვს მბრუნავი სცენა.

პირველ სართულში ა ვესტიბიული, გარდერობი, ადმინისტრაციის ოთახები, საბილიარდო, კაფე, საპარიკმახერო, მსახიობთა ბევრი ოთახი და სხვ.

მეორე და მესამე სართულებში მოთავსებულია ბიბლიოთეკა, სამკითხველო, ლენინისა და სტალინის ოთახი, სასპორტო დარბაზი, 220 ადგილიანი სალექციო დარბაზი, ბუფეტი, თამბაქოს მოსაწევი და ჭადრაკის ოთახები, აგრეთვე როგორც თამაშობისათვის, ისე თვითმოქმედი წრეების მეცადინეობისათვის განკუთვნილი მრავალი სხვა ოთახი.

კულტურის სასახლე მოწყობილია ლამაზი ავეჯით, რომელიც დაკვეთით დაამზადეს რიგისა და მოსკოვის ავეჯის ფაბრიკებმა.

აქ შექმნილია ყველა პირობა ახალგაზრდობის შემოქმედებითი ნიჭის განვითარებისათვის. მის განკარგულებაშია ფართო დარბაზები, კაბინეტები, სახელოსნოები და სხვ.

ტყვარჩელელები სამართლიანად ამაყობენ თავიანთი მშობლიური ქალაქით. ისინი გამსჭვალული არიან დიდი მადლობის გრძნობით კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი, რომლებიც დაუცხრომლად ზრუნავენ მეშახტეებისათვის.

ვ. ხვიჩია,
ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტის მმართველის მოადგილე.



კულტურის სახლის მე-3 სართულის ფოიე.



ს ა დ ღ ე ს ა ს წ ა უ ლ ო ბათუმი ახალმშენებლობათა ხარაჩოებშია ჩასმული. ყველა უბანში გაჩაღებულია საცხოვრებელი სახლების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებების მშენებლობა.

ქალაქში აშენდა კულტურის სამინისტროს და სხვა საწარმო-დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეების საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობილი შენობები, ბათუმელ მანქანათმშენებელთა ოთხსართულიანი საცხოვრებელი სახლი.

ს უ რ ა თ ზ ე: ბათუმის მანქანათსამშენებლო ქარხნის მუშათა ახალი საცხოვრებელი სახლი.

## პირველი კონცერტი

გურჯაანი. (საკ. კორ.). ვაზისუბანში დამთავრდა კულტურის სახლის მშენებლობა, რომელსაც აქვს მოძრავი სცენა. მაყურებელთა დარბაზი 530 მაყურებელს დაიტევს. კულტურის სახლში მოწყობილია ლოჟები, საგარდერობო და ბევრი სხვა დამხმარე ოთახი.

საოქტომბრო დღესასწაულის დღეებში კულტურის სახლში გაიმართა პირველი კონცერტი.

## რადიო და ტელეფონი მთის სოფლებს

ახმეტა. (საკ. კორ.). — ტელეფონი ყველა სოფელს. — ამ ამოცანის გადასაწყვეტად კავშირგაბმულობის ახმეტის რაიონული განყოფილების მუშაკები ენერგიულად მუშაობენ. მათ წელს 28 კილომეტრი სატელეფონო ხაზი გაიყვანეს. რაიონის ცენტრს ტელეფონით დაუკავშირდნენ მთის სოფლები ქორეთი, წინუბანი, ზემო და ქვემო ხალაწანი, დუმასტური, ომალო და არგოხი.

წარმატებით გრძელდებოდა სოფლების რადიოფიცირებაც. დღემდე სოფლებში დაყენებულია ხუთასი რადიოწერტილი.



შემოდგომა

ფოტოეტიუდი შ. ჩხეტიანისა.

## მშრომელთა წარმომადგენლების დემონსტრაციის შესახებ 1958 წლის 7 ნოემბერს ქალაქ თბილისში

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 41-ე წლისთავის დღესასწაულის დღეს, 1958 წლის 7 ნოემბერს, რუსთაველის პროსპექტზე გაიმართება ქალაქ თბილისის მშრომელთა წარმომადგენლების დემონსტრაცია.

დემონსტრაცია დაიწყება დილის 11 საათზე.

მშრომელთა წარმომადგენლები რომლებიც დემონსტრაციაში მონაწილეობენ, იკრიბებიან თავიანთ შესაკრებ პუნქტებზე საწარმოებსა და დაწესებულებებში და ორგანიზებულად მიდიან რუსთაველის პროსპექტზე რაიონულ კოლონებად — დაწესებული მარშრუტებით.

რუსთაველის პროსპექტზე იმ პირთა გაშვება, რომლებიც მოსაწვევი ბილეთებით მიდიან, წყდება 9 საათსა და 45 წუთზე.

ყველა სახის ტრანსპორტის მოძრაობა, გარდა სპეციალური საშვების მქონე ავტომანქანებისა, ცენტრალური მოედნების რაიონში შეწყდება დილის 7 საათსა და 30 წუთზე და განახლდება დემონსტრაციის დამთავრების შემდეგ.

## პირველი მატჩები

გუშინ დაიწყო „ბ“ კლასის ზონებში გამარჯვებულ ფეხბურთელთა კოლექტივების დასკვნითი ასპარეზობა.

თბილისის „დინამოს“ სტადიონზე თამაშობდნენ შავი ზღვის ფლოტის სასპორტო კლუბისა (სევასტოპოლი) და ლვოვის სკვო-ს გუნდები. გაიმარჯვეს სევასტოპოლელებმა 4 : 2.

ქ. რუსთავში ხაბაროვსკისა და ოდესის სკვო-ს გუნდების მატჩი დამთავრდა ხაბაროვსკის გუნდის გამარჯვებით 2 :1 .

## სპორტული ქრონიკა

⊙ ალმა-ატაში გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება ფეხბურთში ფინეთის საკლუბო გუნდსა და ალმა-ატის „სპარტაკს“ შორის. მასპინძლებმა მატჩი მაღალ სპორტულ დონეზე ჩაატარეს და გაიმარჯვეს 6 : 0.

⊙ მოსკოვის „დინამოს“ სტადიონის სასპორტო დარბაზში გამართულ ძალოსანთა ასპარეზობაში მსუბუქი წონის შტანგისტმა ა. ფარაჯიანმა ორი ხელით აკრა 154,5 კილოგრამი და სსრ კავშირის ახალი რეკორდი დაამყარა.

⊙ ბუქარესტში შედგა მატჩი ფეხბურთში ევროპის თასზე რუმინეთისა და თურქეთის ნაკრებ გუნდებს შორის. რუმინელმა ფეხბურთელებმა ძლიერად ჩაატარეს შეჯიბრება და გაიმარჯვეს ანგარიშით 3 : 0.

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა თბილისის გარნიზონის ჯარებისადმი

№ 31

1958 წლის 6 ნოემბერი

ქალაქი თბილისი

**1958 წლის 7 ნოემბრის პარადის შესახებ**

§ 1

1958 წლის 7 ნოემბერს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 41-ე წლისთავის დღესასწაულის დღეს რუსთაველის პროსპექტზე დილის 11 საათზე ინიშნება თბილისის გარნიზონის ჯარების პარადი.

პარადს მიიღებს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი არმიის გენერალი კ. ნ. გალიცკი.

ჯარების პარადის სარდლობა ნაბრძანები მაქვს მე.

§ 2

პარადზე გამოყვანილ იქნან სამხედრო სასწავლებლები და ჯარის ნაწილები განსაკუთრებული გეგმით.

ჯარების დაწყობა რუსთაველის პროსპექტზე დამთავრდეს 9 საათსა და [illegible] წუთზე.

ტანსაცმლის ფორმა საზაფხულო პარადო.

§ 3

თბილისის გარნიზონის კომენდანტმა პოლკოვნიკმა ი. ტ. გაიდაშმა მოაწყოს საარტილერიო სალუტი ჩემ მიერ მიცემულ მითითებათა თანახმად.

§ 4

ჯარების დაწყობისა და გავლის დროს რუსთაველის პროსპექტზე წესრიგის დაცვის საერთო ხელმძღვანელობა ვაკისრებ გარნიზონის კომენდანტს პოლკოვნიკ ი. ტ. გაიდაშს.

თბილისის გარნიზონის უფროსი
გენერალ-მაიორი
ხუბულური.

## ქალაქის ტრანსპორტის მოძრაობა

**7 და 8 ნოემბერს**

7 ნოემბერს ქალაქ თბილისის ტრამვაი მუშაობს დილის 5 საათიდან დილის 7 საათსა და 30 წუთამდე (№№ 3, [illegible] 10, 11, 13, 14, მარშრუტებზე ტრამვაი იმუშავებს დილის 8 საათამდე) და განაახლებს მუშაობას დილის 12 საათიდან, გარდა 1-ლი და მე-2 მარშრუტების ტრამვაის ტარებლებისა, რომლებიც დაიწყებენ მოძრაობას მშრომელთა დემონსტრაციის დამთავრების შემდეგ).

ტროლეიბუსები და ავტობუსები მუშავებენ დილის 5 საათიდან დილის 7 საათსა და 30 წუთამდე და განაახლებენ მუშაობას მშრომელთა დემონსტრაციის დამთავრების შემდეგ.

ავტობუსების №№ 2, 5, 14 მარშრუტები იმუშავებენ გმირთა მოედნამდე, №№ 7, 18, 20, 29 მარშრუტები — კარლ მარქსის მოედნამდე, №№ [illegible] 16, 26 მარშრუტები — ნავთობის [illegible]ზამდე, №№ 19, 23 მარშრუტები — ბალნეოლოგიურ კურორტამდე.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

### თბილისის „დინამოს“ სტადიონი

„ბ“ კლასის ოსტატთა გუნდების ფინალური ასპარეზობა

9 ნოემბერს

**ს კ ვ ო (როსტოვი)**
**ს კ ვ ო (ხაბაროვსკი)**

დასაწყისი დღის 2 საათზე.

11 ნოემბერს

**ს კ ვ ო (ლვოვი)**
**ს კ ვ ო (ოდესა)**

დასაწყისი დღის 4 საათზე.

### დღეს თეატრებში

**რუსთაველის სახელობის** — ფილოსოფიის დოქტორი, **მარჯანიშვილის სახელობის** — სამსახეობა როდისა, **გრიბოედოვის სახელობის** — სიხარულის ძიებაში, **სომხური დრამის** — გლახის ნაამბობი (აბონ. № [illegible]), **პლეხანოვის სახელობის კლუბის** — გვიან და ბედნიერად (მუსიკალური კომედიის თეატრის სპექტაკლი). **კულტურის** — გუშინდელნი, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ნაცარქექია (აბონ. № 41., 9 ს. 30 წ.), წითელი ქუდა (აბონ. № 42., 5 ს.).

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 3-62-26, რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, 3-32-46, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80, სამდივნოსი — 3-06-88. განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პრესის მიმოხილვის — 3-57-61, უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილებისა და პარტბიუროსი — 3-73-24, საილუსტრაციო — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-64-42, გამომშვების — 3-81-65.

უე 06669

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.